პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 ოქტომბერი შაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან № 249 (14853)

# საიუბილეოდ

## დაწესდა საიუბილეო საპატიო სიგელები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის საწარმოების, მშენებლობების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად.

რესპუბლიკის მშრომელთა მაღალი პოლიტიკური აქტივობა, თავდადებული შრომა და შემოქმედებითი ინიციატივა მიზნად ისახავს კომუნისტური მშენებლობის იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებას, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამასა და პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში.

რესპუბლიკის მშრომელები, ემზადებიან რა საბჭოთა საქართველოს ნახევარი საუკუნის იუბილესათვის, წარმატებით ასრულებენ შრომის ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების წარმოებაში დანერგვის, ახალ სიმძლავრეთა უსწრაფესად ამოქმედებისა და ათვისების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების სოციალისტურ ვალდებულებებს.

რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იმ კოლექტივების შრომითი წარმატებების აღსანიშნავად, რომლებმაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების წასახალისებლად, რომლებიც გაიმარჯვებენ რესპუბლიკის იუბილეს აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, დააწესეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელები.

საიუბილეო საპატიო სიგელები მიენიჭებათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი დადგენილებით.

საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ორგანიზაციების კოლექტივებს, რომლებიც საიუბილეო საპატიო სიგელებით დაჯილდოვდებიან და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ, ფულადი პრემიები მიეცემათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მინიჭების დროს გათვალისწინებული ოდენობით.

იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად დაწესდა საიუბილეო საპატიო სიგელები ფულადი პრემიებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, სამინისტროების, უწყებებისა და დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშები პირველი ფულადი პრემიებით საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს 1970 წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 1970 წლისათვის არ მიენიჭებათ.

იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში არ მონაწილეობენ, ფულადი პრემიები მიეცემათ დაწესებულების, ორგანიზაციის ხარჯთაღრიცხვის ეკონომიის ხარჯზე, ხოლო თუ ეს სახსრები საკმარისი არ იქნება, — შესაბამისი სამინისტროს (უწყების) ხარჯთაღრიცხვის ცალკეულ ღონისძიებებზე დაზოგილი სახსრების ხარჯზე.

საიუბილეო საპატიო სიგელებით დაჯილდოვდებიან აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები, რომელთა კოლექტივები მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მოიპოვებენ და წარმატებით შეასრულებენ რესპუბლიკის იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ საიუბილეო საპატიო სიგელებს გადასცემენ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებას მათი მინიჭების შესახებ გამოაცხადებენ საწარმოთა და ორგანიზაციათა საზეიმო სხდომებზე, კრებებზე, მიტინგებზე.

სამინისტროებსა და უწყებებს და პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებს, საქართველოს კომპარტიის საქალაქო კომიტეტებთან და რაიკომებთან შეთანხმებით, დაევალათ შეაჯამონ საბჭოთა საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ორგანიზაციების კოლექტივთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1970 წლის საგეგმო დავალებათა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგების მიხედვით, აგრეთვე წინა წლებში მათი მუშაობის გათვალისწინებით, და 1971 წლის 20 იანვრისათვის საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს წარუდგინონ მასალები რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების იმ კოლექტივებზე, რომლებიც, მათი აზრით მიზანშეწონილია დაჯილდოვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელებით. (საქინფორმი).

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

[illegible]

სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ თავიანთ V სრულიად საკავშირო ყრილობაზე, მხურვალედ, გულითადად მიესალმებიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და უღრმეს მადლობას უძღვნიან ყრილობისადმი მისალმების გულთბილი სიტყვებისათვის და საბჭოთა ხუროთმოძღვრების შემოქმედებითი შრომის მაღალი შეფასებისათვის, რაც იმით გამოიხატა, რომ სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

მაღალმა ჯილდომ აღაფრთოვანა საბჭოთა არქიტექტორების მრავალათასიანი კოლექტივი. ჩვენ კარგად გვესმის, რომ არქიტექტორები თავიანთ წარმატებებს უნდა უმადლოდნენ უწინარეს ყოვლისა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, მის ყოველდღიურ ზრუნვას ჩვენს ქვეყანაში მშენებლობისა და არქიტექტურის შემდგომი განვითარებისათვის. ეს ზრუნვა გამოხატულებას პოულობს მთელ რიგ დადგენილებებში, რომელთა მიზანია მშენებლობისა და საპროექტო საქმის გაუმჯობესება, სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება და რომლებშიც ჩამოყალიბებულია არქიტექტურისა და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების სამუშაოთა პროგრამა.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად არქიტექტორები აქტიურად ჩაებნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი XXIV ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

არქიტექტორთა IV და V ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში მშენებლობისა და არქიტექტურის დარგში მიღწეულია გარკვეული წარმატებანი, რომლებიც ადასტურებენ, რომ სწორია მისი განვითარების გზები. გაუმჯობესდა ქალაქების, საცხოვრებელი და სამრეწველო რაიონების ტიპური დაპროექტებისა და განაშენიანების ხარისხი. განვითარდა და განმტკიცდა მშენებლობის ინდუსტრიული ბაზა. მასობრივი განაშენიანების კარგ ნიმუშებთან ერთად ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში აგებულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი შენობები და ნაგე-

[illegible]

რული იერით. უპირველეს ყოვლისა ეს მოწმობს არქიტექტურული შემოქმედების ნაყოფიერ განვითარებას ჩვენი საზოგადოების სოციალური პროგრესის, ახალი ტექნიკისა და არქიტექტურის ხელოვნების ერთიანობის საფუძველზე.

ამავე დროს მთელი პასუხისმგებლობით გვაქვს შეგნებული, რომ მშენებლობასა და არქიტექტურაში კვლავ ბევრი სერიოზული ნაკლია. ყველა ქალაქსა და დაბას როდი აქვს ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრინციპების საფუძველზე შემუშავებული და დამტკიცებული გენერალური გეგმა. საკმაოდ ფართოდ არ წარმოებს სასოფლო დასახლებული პუნქტების დაპროექტება და მშენებლობა, ხოლო სოფლისათვის შექმნილი პროექტების ხარისხი ყოველთვის როდი შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ბევრ შემთხვევაში სათანადო დონეზე არ არის მასობრივი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ხარისხი. ჯერ კიდევ არის ჩვენი ქალაქების რაიონების განაშენიანების კომპლექსურობის დარღვევის შემთხვევები. ზოგჯერ საკმაოდ საფუძვლიანად არ სწავლობენ ეკონომიკის, დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხებს.

საბჭოთა არქიტექტორებს შეგნებული აქვთ თავიანთი დიდი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ შექმნან გარემო ჩვენი ხალხის შრომისათვის, ყოფაცხოვრებისა და დასვენებისათვის, და ყოველ ღონეს იხმარენ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამ პირობებში ჩვენს წინაშე ისახება საბჭოთა არქიტექტორების პროფესიული ოსტატობის სრულყოფისა და დაპროექტებაში ნოვატორობის განვითარების სერიოზული ამოცანა.

ჩვენს არქიტექტორებს, რომლებიც უდიდესი ყურადღებით ეკიდებიან ეკონომიკის საკითხებს და ემყარებიან ინდუსტრიალიზაციის შემდგომ განვითარებასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებას, ყველა შესაძლებლობა აქვთ ქმნიდნენ ნამდვილად თანამედროვე მაღალმხატვრულ არქიტექტურულ ანსამბლებს, კარგად წყვეტდნენ ქალაქთმშენებლობის, სოფლის დასახლებული პუნქტების სოციალისტური რეკონსტრუქციის

[illegible]

სოთ დაპროექტება და მშენებლობა, უნდა ვავითარებდეთ არქიტექტურულ-სამშენებლო მეცნიერებასა და თეორიას, წინასწარ ვჭვრეტდეთ ქალაქების, შენობათა და ნაგებობათა ტიპების პერსპექტიულ განვითარებას, უფრო სწრაფად ვნერგავდეთ მოწინავე მეცნიერების მიღწევებს.

ჩვენი ქვეყნის არქიტექტორთა წინაშე დასახული მრავალფეროვანი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა ბევრად დამოკიდებულია მათი შემოქმედებითი ორგანიზაციის, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის საქმიანობაზე. საზეიმოდ ვაცხადებთ, რომ სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირი ყოველი ღონისძიებით შეუწყობს ხელს ჩვენს ხუროთმოძღვართა პროფესიული ოსტატობის დონის ამაღლებას, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი აქტივობის, იდეურ-პოლიტიკური შეგნების ზრდას.

არქიტექტორთა მეხუთე სრულიად საკავშირო ყრილობა პირობას აძლევს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომ საბჭოთა არქიტექტორები მშენებლებთან, მეცნიერებთან და მხატვრებთან თანამეგობრობით ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა საბჭოთა არქიტექტურა აიყვანონ კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების დონეზე, მონუმენტურ ანსამბლებსა და ხუროთმოძღვრების შთაგონებულ ნაწარმოებებში ღირსეულად ასახონ ჩვენი სოციალისტური ეპოქის სიდიადე.

მადლობას ვუძღვნით ჩვენს პარტიას, ჩვენს მთავრობას, ჩვენს ხალხს, რომლებმაც მოგვანიჭეს უდიდესი ბედნიერება — ვქმნიდეთ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა საზოგადოებისათვის.

საბჭოთა კავშირის არქიტექტორები თავიანთი შემოქმედებით კვლავაც დაამტკიცებენ, რომ ლენინის, რევოლუციის, კომუნიზმის იდეებს ერთგული არიან.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

გაუმარჯოს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, რომელიც წარმატებით მიდის კომუნიზმისაკენ!

# ხალხის სამსახური საპატიო მოვალეობაა

22 ოქტომბერს არქიტექტორთა მე-5 სრულიად საკავშირო ყრილობაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ი. ნ. ჩხენკელი და ყაზახეთის სსრ არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე რ. ა. სეიდალინი, სარატოვის მთავარი არქიტექტორი ი. ი. მენიაკინი, არქიტექტორთა კავშირის ნოვოსიბირსკის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე ე. ხ. ნესტერენკო, სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ნ. ფომინი და სხვები.

ყრილობის დელეგატებს გულთბილად მიესალმნენ სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანი ს. ა. გერასიმოვი და სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ნ. ვ. ტომსკი.

დელეგატებმა მოისმინეს და დაამტკიცეს სამანდატო კომისიის მოხსენება.

ყრილობამ სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად ცნო და დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გ. მ. ორლოვმა.

23 ოქტომბერი ყრილობის მუშაობის ბოლო დღე იყო.

ყრილობის პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარე ი. ტ. ნოვიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების გამგე ი. ნ. დმიტრიევი, გამოჩენილი საბჭოთა ხუროთმოძღვრები, ყრილობის სტუმრები.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის. მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირის არქიტექტორთა ყრილობა დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა.

## არქიტექტორთა მე-5 საკავშირო ყრილობა

საბჭოთა ადამიანების რამდენიმე თაობა, რომლებიც ერთგულად ასრულებენ დიდი ლენინის უკვდავ ანდერძს, თქვა ამხ. ნ. ვ. პოდგორნიმ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ეწევა უდიდეს აღმშენებლობითს მუშაობას — ძირფესვიანად გარდაქმნის ჩვენი სამშობლოს სახეს, მთელ ჩვენს ყოფაცხოვრებას, წარმატებით აშენებს ახალ საზოგადოებას. წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება საწარმოო ძალები, სწრაფად ვითარდება მეცნიერება, აყვავდა სოციალისტური კულტურა.

მიმდინარე წელი — ლენინის სახელოვანი იუბილეს წელი საბჭოთა ხალხმა ახალი გამარჯვებებითა და საქმეებით აღნიშნა, მთელ ქვეყანაში ფართოდ გაიშალა ბრძოლა ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საბჭოთა ადამიანები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობებს, რომ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის მოსკოვისა და ოქტომბრის რევოლუციის კერის — ლენინგრადის მშრომელებმა მოიპოვეს დიდი შრომითი გამარჯვება — ამ რამდენიმე დღის წინათ შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა. ყველა საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ დღითიდღე შეივსება მათ მიმდევართა — ახალ გამარჯვებულთა რიგები, რომ ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები წარმატებით გადაწყდება.

საბჭოთა ხალხი რწმენით შეჰყურებს მომავალს. მის რწმენას აქვს მტკიცე საფუძველი — მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე იდეების ძალა, სოციალისტური სისტემის უპირატესობანი, უკვე მიღწეული წარმატებანი. ამ რწმენას განსაზღვრავს ის, რომ ხალხის მთელ მრავალფეროვან საქმიანობას წარმართავს ლენინური პარტია, რომელიც ფართო პერსპექტივით იმუშავებს და ახორციელებს კომუნისტური საზოგადოების შექმნის გეგმებს.

პარტია და სახელმწიფო თანმიმდევრულად და მიზანდასახულად განამტკიცებენ ჩვენს ეკონომიკას, სტიმულს აძლევენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

ისინი ყოველი ღონისძიებით უქმნიან ყველაზე ხელშემწყობ პირობებს საბჭოთა ადამიანების შრომას, სწავლას, დასვენებას, მთელ ცხოვრებას, ქმნიან პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითეული ადამიანის შემოქმედებით შესაძლებლობათა ყოველმხრივ განვითარებასა და გამოყენებას. ეს არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის მთავარი მიზანი და აზრი.

ჩვენი გეგმები ჭეშმარიტად გრანდიოზულია. მათი განხორციელებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს — საბჭოთა არქიტექტორებს, მათს შემოქმედებითს კავშირს.

ყოველწლიურად, თქვა შემდეგ ამხ. ნ. ვ. პოდგორნიმ, იზრდება კაპიტალური მშენებლობის მასშტაბები. ამიტომ ხუროთმოძღვართა ნიჭზე, ოსტატობაზე, მათს უნარზე მაქსიმალურად გამოიყენონ არქიტექტურულ ფორმებში პროგრესული მსოფლიო გამოცდილება და უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები, მათს, მე ვიტყოდი, საქმისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომაზე დიდად არის დამოკიდებული წარმატება.

ამაზე ბევრად არის დამოკიდებული ახალი სამრეწველო, ენერგეტიკული და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების ყველაზე რაციონალური და ეკონომიური განლაგება, კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანად გამოყენება, სამშენებლო სამუშაოთა ვადების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება, ქალაქთმშენებლობის ძირეული პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტის გამოძებნა.

გასაკეთებელი ბევრი რამ არის. საბჭოთა არქიტექტორების წინაშე გადაშლილია ფართო ასპარეზი, თუ სად უნდა გამოიყენონ თავიანთი ძალები, ნიჭი და ოსტატობა. მიუხედავად ამისა, მათს საქმიანობაში თვალსაჩინო დიდ წარმატებებთან ერთად, როგორც სამართლიანად აღინიშნა აქ ყრილობაზე, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია.

მსოფლიო ხუროთმოძღვრების ისტორიაში არქიტექტორთა შრომა არასოდეს არ ყოფილა შთა-

(დასასრული მე-2 გვ.)

# ა. ნ. კოსიგინმა მიიღო

## ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიური დელეგაციის მეთაური ნგუენ კონი

22 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნგუენ კონი, რომელიც მოსკოვში მყოფ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიურ დელეგაციას მეთაურობს.

საუბრის დროს შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა კავშირის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის დახმარების გაწევის საკითხებს.

შეხვედრა გულთბილ, ძმურ ვითარებაში მიმდინარეობდა.

# მეგობრული საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

23 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო თვალსაჩინო საბჭოთა დრამატურგი, სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი ა. ე. კორნეიჩუკი, რომელიც საქართველოში იმყოფება.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ გულითად ვითარებაში ჩაიარა, შეეხნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ლენინურ მეგობრობას, საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილესათვის მზადებას.

საუბრის დასასრულს ვ. პ. მჟავანაძემ შემდგომი წარმატებანი უსურვა ა. ე. კორნეიჩუკს მის შემოქმედებითს და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მან იმედი გამოთქვა, რომ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ნიჭიერი კოლექტივი, რომელიც ახორციელებს მისი პიესის დადგმას, პირნათლად შეასრულებს დასახულ ამოცანას.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი გ. აბაშიძე, რომელმაც ქართულ ენაზე თარგმნა ა. კორნეიჩუკის პიესა „ხსოვნა გულისა“. (საქინფორმი).

# ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის

მოსკოვში გაიმართა მოლაპარაკება სსრ კავშირის მთავრობის ეკონომიურ დელეგაციასა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიურ დელეგაციას შორის. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, ვიეტნამის დელეგაციას — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნგუენ კონი. 1970 წლის 22 ოქტომბერს კრემლში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს, რომ საბჭოთა კავშირი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას გაუწევს ეკონომიურ და სამხედრო დახმარებას, აგრეთვე მისცემს კრედიტებს.

შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიალს დაესწრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

ახალი შეთანხმებანი მოასწავებენ საბჭოთა ხალხისა და ვიეტნამელი ხალხის ძმური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას და საბჭოთა კავშირსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის გაფართოებას.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიური დელეგაცია გაეცნო საბჭოთა ხალხის მიღწევებს, ლენინგრადისა და მოსკოვის ღირსშესანიშნავ ადგილებს და ეწვია მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებს. დელეგაციას ყველგან გულთბილად და მეგობრულად ხვდებოდნენ, რაც გამოხატავს საბჭოთა ხალხის ძმურ გრძნობებს მებრძოლი ვიეტნამელი ხალხისადმი.

## საოქტომბრო ვახტაზე



ნათელა ფოსოშვილი თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ მუშაობს. ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში შეასრულა მან პირადი ხუთწლიანი გეგმა. საწარმოში ხუთი წლის მუშაობის განმავლობაში შეძენილ მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას იგი ხალისით გადასცემს ახალგაზრდა მქსოველებს. ნ. ფოსოშვილის ათი ყოფილი მოწაფე, რომელთაც მან დიდი ცხოვრების საგზური მისცა, უკვე დამოუკიდებლად მუშაობენ და მოწინავე მქსოველად ითვლებიან. ერთ-ერთი მათგანი ნაზი მხათრიშვილია. იგი ოთხი თვეა მუშაობს დამოუკიდებლად, ემსახურება სამ ავტომატურ უმაქოო საფეიქრო დაზგას, ცვლის დავალებებს 130-140 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: მოწინავე მქსოველი ნათელა ფოსოშვილი (მარჯვნივ) და მისი ყოფილი მოწაფე, მქსოველი ნაზი მხათრიშვილი.

ფოტო ვ. მორგუნოვისა. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

### ხუთწლედი განაღდებულია

ჩხარის იატაკის ფილების კოლექტივმა (დირექტორი ს. მხეიძე) 4 წელიწადსა და 9 თვეში წარმატებით გაანაღდა ხუთწლიანი გეგმის დავალებანი, ნაცვლად მილიონ 243 ათასი მანეთისა მილიონ 521 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა და ხუთწლიანი გეგმა 121,8 პროცენტით შეასრულა. ამჟამად ჩხარელი კერამიკოსები მომავალი ხუთწლედის ანგარიშში მუშაობენ.

რ. ზარნაძე.

### 128.510 ტონა ზეგეგმითი მადანი

ჭიათურა. (საკ. კორ.). ლენინის ორდენოსანი მარგანტრესტის კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა — ჭიათურაში პირველმა — გასული წლის 10 ნოემბრისათვის შეასრულა ხუთწლიანი გეგმა და მომავალი ხუთწლედის ანგარიშში სამშობლოს მისცა 128.510 ტონა მაღალხარისხოვანი მადანი.

მაღაროს კოლექტივი კვლავ მაღალნაყოფიერად მუშაობს. იგი ფლობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას, იბრძვის იმისათვის, რომ ახალი საწარმოო მიღწევებით შეხვდეს ოქტომბრის დღესასწაულს, პარტიის XXIV ყრილობას და საქართველოს საიუბილეო თარიღებს.

აღსანიშნავია, რომ მაღაროს ყველა უბანი და ცვლა გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ აკ. ღუღუნიშვილის, გ. მოდებაძის, ნ. ჭიოკაძის, მ. გოგბერაშვილის, ა. ცერცვაძის, ჯ. ღუღუნიშვილის საწარმოო უბნებისა და ცვლების კოლექტივები.

# სტუმრად ირანში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი მისი უდიდებულესობის ირანის შაჰინშაჰის მოჰამედ რეზა ფეჰლევის მიწვევით ამა წლის ოქტომბრის დამლევს მონაწილეობას მიიღებს ტრანსირანული გაზსადენის ოფიციალურ გახსნაში, რომელიც საბჭოთა კავშირის ტექნიკურ-ეკონომიური ხელშეწყობით აშენდა.

# უნგრეთში კულტურის დღეებზე

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. (საქინფორმი). უნგრეთში საბჭოთა კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად დღეს ბუდაპეშტში გაემგზავრა ოფიციალური დელეგაცია სსრ კავშირის კულტურის მინისტრის ე. ა. ფურცევას მეთაურობით.

# სწავლობენ პარტიული კადრები

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ დაუსწრებელ უმაღლეს პარტიულ სკოლაში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და უმაღლესი პარტიული სკოლების, ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის, რუსეთის სფსრ ზოგიერთი სხვა ოლქის უმაღლესი სასწავლებლების პარტიული კომიტეტების მდივანთა ორკვირიანი კურსები.

კურსების მონაწილენი შეისწავლიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და პოლიტიკის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, პარტიული მშენებლობის აქტუალურ საკითხებს.

კურსებზე განიხილავდნენ უმაღლესი სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

ანალოგიური კურსები მოეწყობა კიევში, ნოვოსიბირსკში, დონის როსტოვში. (საქინფორმი).

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### პროფესორ ი. მ. რცხილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტის კათედრის გამგე, პროფესორი ირაკლი მიხეილის-ძე რცხილაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი,
1970 წლის 23 ოქტომბერი.

# ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## საქართველოს სს რესპუბლიკისაგან ეროვნებათა საბჭოს სოხუმის № 186 სასოფლო საარჩევნო ოლქში დეპუტატის არჩევის დღის შესახებ

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 108 მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სს რესპუბლიკისაგან ეროვნებათა საბჭოს სოხუმის № 186 სასოფლო საარჩევნო ოლქში დეპუტატის არჩევნები კვირას, 1970 წლის 29 ნოემბერს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1970 წლის 22 ოქტომბერი.

# ხალხის სამსახური საპატიო მოვალეობაა

(დასასრული)

გონებული ესოდენ მაღალი ზნეობრივი იდეალებით, როგორც გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში. „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“ — ჩვენი საზოგადოების დროშაზე წარწერილი ეს ლოზუნგი თქვენი პროფესიის ადამიანებსაც უშუალოდ და პირდაპირ ეხება. არქიტექტურული ნაწარმოებები ადამიანის გარემომცველი სამყაროს განუყოფელი ნაწილია, და იმაზე, თუ რაოდენ სრულყოფილია ეს ნაწარმოებები, რაოდენ აკმაყოფილებენ ისინი საბჭოთა ადამიანების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საზოგადოებრივი შრომისა და ცხოვრების სრულყოფილობა, მათი სიხარული და ბედნიერება.

ხუროთმოძღვრის ნაშრომი საუკუნეთა განმავლობაში რჩება. და მთელი ამ წლების მანძილზე იდეები, რომლებიც არქიტექტორმა განახორციელა თავის ქმნილებაში, ცოცხლობენ, გავლენას ახდენენ თანამედროვეთა, მომავალ თაობათა შეხედულებებსა და მხატვრულ გემოვნებაზე. არქიტექტორთა საპატიო მოვალეობაა თავიანთი შემოქმედებით უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ მოთხოვნე- [illegible]

თა საზოგადოება რომ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე და პროგრესულია, ამას მოწმობს მისი პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების მაჩვენებლები. ამას მკაფიოდ და დამაჯერებლად უნდა გვიჩვენებდეს ქვეყნის, ჩვენი ქალაქებისა და სოფლების, საცხოვრებელი უბნებისა და სამრეწველო ნაგებობების. ყოველივე იმის იერი, რასაც ქმნის საბჭოთა ადამიანის შთაგონებული შრომა. ეს არის საბჭოთის არქიტექტურის მაღალი მოწოდება.

არქიტექტორთა საპატიო ვალი და მოვალეობაა, როგორც ნათქვამია სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში ჩვენი ყრილობისადმი, — შექმნან ხუროთმოძღვრების ისეთი ნაწარმოებნი, რომლებშიც საუკუნოდ აღიბეჭდება ჩვენი სამშობლოს დიადი სოციალისტური გარდაქმნები და კომუნიზმის გზით მიმავალი საბჭოთა ხალხის შრომითი საქმენი.

ყრილობის მუშაობამ, რომლის მსვლელობაში ფართოდ გაშუქდა ჩვენი ხუროთმოძღვრების მრავალმხრივი საქმიანობა, დაადასტურა, რომ მათ ღრმად შეგნებული აქვთ სოციალური დანიშნულება და შემოქმედებითი როლი არქიტექტურისა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში, ახალი ადამიანის აღზრდაში. [illegible]

საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ. სკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით იგი გულითადად ულოცავს ყრილობის დელეგატებს, და მათი სახით ქვეყნის ყველა ხუროთმოძღვარს, მათი დამსახურების მაღალ შეფასებას — სამშობლოს უმაღლეს ჯილდოს.

გადავცემ რა სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირს ლენინის ორდენს, ამბობს ამხ. ნ. ვ. პოდგორნი, სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ვუსურვებ ყველა საბჭოთა ხუროთმოძღვარს ახალ შემოქმედებით წარმატებებს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში!

დამსწრეთა ტაშის გრიალში ნ. ვ. პოდგორნიმ ლენინის ორდენი მიაბნია სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის დროშას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა გ. მ. ორლოვმა. ყრილობის დელეგატების სახელით, ყველა საბჭოთა ხუროთმოძღვრის სახელით მან გულითადი მადლობა უძღვნა კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას არქიტექტორთა შრომის მაღალი შეფასე- [illegible]

[illegible] ნიხის პარტია. და ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ახალი არქიტექტურული ნაწარმოებნი, რომლებიც განასახიერებენ საბჭოთა ხუროთმოძღვრების ყველა თაობის ცოდნასა და გამოცდილებას, მათს შთაგონებასა და შემოქმედებით ძიებას, ამ საპატიო ამოცანების ღირსი იქნებიან.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი ქვეყანა პირველი კვალავს კომუნისტური მომავლის გზას. საბჭო- [illegible]

და სავსებით კანონზომიერია, რომ თქვენი ყრილობის გახსნის წინადღით არქიტექტორთა კავშირმა, რომელიც საუკეთესო შემოქმედებითს ძალებს აერთიანებს, ყველა ხუროთმოძღვარს ხელმძღვანელობს თეორიისა და პრაქტიკის საკვანძო პრობლემების გადაჭრაში, მაღალი ჯილდო დაიმსახურა.

ამხ. ნ. ვ. პოდგორნი კითხულობს სსრ კავშირის უმაღლესი [illegible] და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. ტაშის გრიალში ყრილობამ მიიღო წერილის ტექსტი.

## მიეძღვნა სახელოვან იუბილეს

## საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წელი

### საქალაქო თეორიული კონფერენცია

23 ოქტომბერს [illegible]

[illegible] ის — ქართველი ხალხის ყველა გამარჯვებისა და წარმატების ორგანიზატორის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მშრომელებმა საბჭოთა [illegible] ჭოთა საქართველოს ეკონომიური და კულტურული აყვავება პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგია“. (საქინფორმი).

## ხუთწლედის გმირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშის ავტორიტეტი

### ელენე კოწიწაშვილის თაოსნობის სიკეთე



ნოლიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც კარგი ინიციატივა გამოიჩინა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მძახავმა ელენე კოწიწაშვილმა. მან მაქსიმალურად შეამჭიდროვა თავისი სამუშაო დრო, გააფართოვა მომსახურების ზონა და ცვლაში ორმაგი ნორმის შესრულება დაიწყო. ამ ხნის მანძილზე ინიციატორი ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით უშვებს 160-170 კილოგრამ კორდს, მარტო მიმდინარე წლის ცხრა თვეში მის ანგარიშზეა ათობით ტონა ზეგეგმითი კორდი, მიღებულია ასი ათას მანეთზე მეტი ზეგეგმითი მოგება. ინიციატორის გამოცდილება საქართველოს სამრეწველო საწარმოთა ბევრმა მშრომელმა გაიზიარა.

□ □

**ამ ორიოდე** თვის წინათ რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის საამქროებში თვალსაჩინო ადგილებზე გამოაკრეს ქარხნის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილების მიერ გამოშვებული სპეციალური ბიულეტენი. მოწინავე გამოცდილების ტრიბუნა; ელენე კოწიწაშვილის მუშაობის მეთოდი — ასეთი საერთო სათაური ჰქონდა მას. ამ ბიულეტენთან ხშირად ნახავდით საწარმოს ახალგაზრდა მუშებს. ისინი გულისყურით ეცნობოდნენ მოწინავე მძახავის შრომის ახლებურ მეთოდს, რომელიც შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილებას გასაგებად, ყველასათვის ხელმისაწვდომად განემარტა.

მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდის ამ თვალსაჩინო დოკუმენტს რომ გაეცნობით, აუცილებლად დაგებადებათ სურვილი მუშაობის დროს ნახოთ ინიციატორი, რომელმაც საწარმოში ახალი შეჯიბრება გააჩაღა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის და პირნათლად გაანაღდა ყველა ნაკისრი ვალდებულება.

ელენე კოწიწაშვილის სახელი დღეს ფართოდ არის ცნობილი. მან საქართველოში პირველმა გაიზიარა და მუშაობის პრაქტიკაში დანერგა შჩეკინოელ ქიმიკოსთა გამოცდილება, რომელიც ნაკლები შრომითი დანახარჯებით არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალურად გამოყენებას და მეტი პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებს. ამასთან ინიციატორმა შეძლო ბევრი სიახლე შეეტანა შჩეკინოელთა გამოცდილებაში, ქარხნის ყველა მშრომელისათვის გასაგები და ხელმისაწვდომი გაიხადა იგი. ე. კოწიწაშვილმა საქმით დაამტკიცა, რომ ერთ საძახავ მანქანას ორი მუშის მაგივრად თამამად შეიძლება ერთი ადამიანი გაუძღვეს და გაცილებით მეტი პროდუქციაც გამოუშვას, ვიდრე ნორმით არის გათვალისწინებული. მაგრამ სანამ მძახავი ამას მიაღწევდა, გამოცდის არაერთი მძიმე წუთი გადაიტანა. კოლექტივის წინაშე მან დააყენა მეტად რთული, მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გადაწყვეტა დიდ ჯაფას მოითხოვდა.

ე. კოწიწაშვილს კარგად ესმოდა, რომ მაღალი წარმადობის საძახავ მანქანებზე მუშაობისას შრომის ნაყოფიერების ჩქარ ზრდას მხოლოდ საკუთარი პროფესიის სრულყოფით, სამუშაო დროის ეკონომიით, წუნის მინიმუმამდე შემცირებით თუ მიაღწევდა. ამიტომ საწარმოში პირველი ჩაება დროის ეკონომიისათვის გაშლილ შეჯიბრებაში.

მძახავმა მუშაობა თითქმის ახალბედასავით დაიწყო; ყველა ოპერაციის შესრულების დრო ჩაინიშნა. კორდის გაწყვეტის შემთხვევებიც ალნუსხა. გულისყურით შეუდგა მანქანის იმ ნაწილების შესწავლას, რომელთა მიზეზითაც შეიძლება წუნი გაიპაროს. ოსტატებთან და ქვეოსტატებთან საუბარს მოუხშირა. მერე, როცა დარწმუნდა, რომ მანქანას უკვე კარგად იცნობდა, მცირე შეფერხებათა გამოსწორება სხვათა დაუხმარებლად სცადა. საქმე კარგად მიდიოდა. მძახავმა ცვლის ნორმების გადაჭარბებით შესრულება დაიწყო. მაგრამ ე. კოწიწაშვილი ამას არ დასჯერდა, გადაწყვიტა მარტოს ემუშავა საძახავი მანქანის 72-სავე თითისტართან, მანამდე კი მხოლოდ 36 თითისტარს ემსახურებოდა.

ქარხნის კოლექტივის მუშაობის პრაქტიკაში ამ ახალი სიტყვის საქმით დამტკიცება არც ისე ადვილი იყო. საძახავი მანქანის სიგრძე 12 მეტრია, თითისტარები აქეთ-იქეთ არის განლაგებული, მძახავი ყოველ წუთს უნდა ამოწმებდეს თვითეულ მასრას, კონტროლს უწევდეს დახვევის პროცესს. თუ არ მიაკითხე, შეიძლება კორდი გაწყდეს, თითისტარი მოცდეს. იკარგება დრო, იზრდება წუნი. ამ დიდ საქმეს რომ გასწვდე, აუცილებელია ყველა ოპერაციაზე თუ დეფექტის გამოსწორებაზე ნორმით გათვალისწინებული დრო ბევრად შეამცირო. ე. კოწიწაშვილს ეს უკვე შეეძლო. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მანქანაზე მარტოდ მუშაობა. და აი პირველი სიხარულიც: ერთ ცვლაში გამოშვებულია 572 კილოგრამი კორდი, რაც დავალების 301 პროცენტია!

ქარხნის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილების მუშაკების დახასიათებით მძახავის მაღალნაყოფიერი შრომის საიდუმლო ძირითადი და დამხმარე ოპერაციების უზადო შესრულებაა. მართლაც, როცა მუშაობის დროს უცქერით ე. კოწიწაშვილს, აღფრთოვანებას ვერ დაფარავთ ისე ავტომატურად მოძრაობენ მისი თითები; ყველაფერი თვალის დახამხამებაში კეთდება, მძახავი თითქოს ინტუიციით გრძნობს, რომელ თითისტარს უჭირს, და მაშინვე მისკენ მიიჩქარის.

პირველ ოპერაციაზე მძახავები ადრე 28 წამს ხარჯავდნენ. ე. კოწიწაშვილი 20 წამში ასწრებს, ჩაწყვეტის შემდეგ ძაფის ჩაბმას მხოლოდ 18 წამს ანდომებს, ნორმა კი გაცილებით მეტია; თვითეული თითისტარის გასუფთავებაზე 2-3 წამს იგებს. ეს ოპერაცია დღეში 140-150-ჯერ მეორდება, ე. ი. იზოგება დაახლოებით 20-25 წუთი. სპეციალური სამარჯვებით თვითონვე ასწორებს ყველა შეფერხებას. ამ საქმეს მანამდე საამქროს ოსტატი ასრულებდა. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ამ დიდი სამუშაოს შესრულებისას ე. კოწიწაშვილი ერთი წუთითაც არ ივიწყებს პროდუქციის ხარისხს. მისი მანქანის თითისტარებზე ვერ ნახავთ სუსტად დახვეულ კორდს, იშვიათად მოცდება თითისტარი, მინიმუმამდე აქვს დაყვანილი წუნი.

ნორმადართა გაანგარიშებით ყველა ოპერაციაზე მძახავი ე. კოწიწაშვილი ცვლაში ზოგავს აუცილებელი სამუშაო დროის 2 საათსა და 30 წუთს, რაც საკმარისია იმისათვის, რომ საძახავ მანქანაზე ცვლაში დამზადდეს 170 კილოგრამი ზეგეგმითი კორდი! ერთ წელზე მეტია ასე შრომობს ქარხნის ინიციატორი.

— ამ ხნის განმავლობაში, — ამბობს ე. კოწიწაშვილი, — გეგმის გადამეტებით გამოვუშვი 50.000 კილოგრამამდე კორდი და საწარმოს ათეულ ათასობით მანეთი მოგება მივეცი. მიხარია, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მოვიყვანე და მშობლიური საწარმოს კოლექტივს სარგებლობა მივეცი. მაღალნაყოფიერმა შრომამ ჩემი გამომუშავებაც გაზარდა. მაგრამ ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ ჩემი გამოცდილება ბევრმა გაიზიარა და თავისი მუშაობის პრაქტიკაში დანერგა.

საამაყო და სასიხარულო მართლაც ბევრი აქვს ე. კოწიწაშვილს. მისი ინიციატივა საერთო-სახალხო კუთვნილება გახდა. მარტო მის მშობლიურ საწარმოში დღეს ათობით მძახავია, რომლებიც მაჩვენებლებით თაოსანს არ ჩამოუვარდებიან. ე. კოწიწაშვილის მიერ ქარხანაში დაწყებულმა შეჯიბრებამ საწარმოს დიდი სიკეთე მოუტანა. ერთიორად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, დაიზოგა დიდძალი ხელფასი, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, შემცირდა წუნი. საწარმომ თავი დააღწია ჩამორჩენას და მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ფართოდ გაიშალა კომუნისტური შრომა. შეჯიბრების დაწყებიდან გასულ ერთ წელიწადში უკვე 15 ბრიგადამ და 200-მდე მუშამ მოიპოვა კომუნისტური შრომის საპატიო წოდება.

ინიციატორმა მაღალეფექტიური შრომის გზაზე გაიყოლია ქარხნის ახალგაზრდობა. და დღესაც, როცა გაშლილია შეჯიბრება სკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის, ე. კოწიწაშვილი სიუხვისათვის ლაშქრობის სათავეშია.

**რ. ჯელიძე.**

# შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის

**21 ოქტომბერს** თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კლუბში გაიმართა საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. აქტივის მონაწილეებმა — საწარმოთა, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებმა, პროფკავშირის საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეებმა, მთავარმა სპეციალისტებმა განიხილეს რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასთან დაკავშირებული საკითხები.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ნ. შ. ცხაკაიამ.**

მოხსენება სამეცნიერო ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ გააკეთა სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრის მოადგილემ **ვ. ს. ბორუშკომ.**

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის მთავარი ინჟინერი **ზ. დ. ჩივაძე**, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორი **ი. გ. უნგიაძე**, საბჭოთა კავშირის ელექტრომანქანათმშენებლობისა და აპარატმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის განყოფილების დირექტორი **გ. ვ. მინდელი**, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი **გ. ხ. ფხაკაძე**, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი **ს. ი. თოხაძე**, თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების“ მთავარი ინჟინრის მოადგილე **ვ. ა. კაპსკი**, თბილისის პლასტმასის ქარხნის დირექტორი **ტ. მ. ჯვარშეიშვილი**, თბილისის ქარხანა „მიკროძრავის“ მთავარი კონსტრუქტორი **ზ. ა. ცერცვაძე**, თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ დირექტორი **ო. ი. ნიკურაძე**.

კრებაზე გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ დარგში ხორციელდება ინსტიტუტებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და საწარმოებში დაგეგმვის, მეცნიერულ-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური სამუშაოების დაფინანსების ახალი სისტემის, ახალი ტექნიკის შექმნისათვის, ათვისებისა და გამოყენებისათვის ეკონომიური სტიმულირების დანერგვის დიდმნიშვნელოვანი ექსპერიმენტი. დარგში წარმოებულმა ნაწარმის ხარისხის ატესტაციამ საშუალება მოგვცა თვისებრივად შეგვეფასებინა თვითეული ქარხნის პროდუქციის ტექნიკური დონე, ობიექტურად შეგვეფასებინა ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაობა. ახალი სისტემით წელიწად-ნახევრის მუშაობის მანძილზე ძირითადად დამთავრდა ინსტიტუტებისა და ბიუროების ქსელის მოწესრიგება, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცა ქარხნების გამგებლობას. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა ერთნახევარ-ორჯერ შეგვემცირებინა ახალი ნაწარმის შემუშავებისა და წარმოებაში ათვისების ვადები, აგრეთვე მნიშვნელოვნად აგვემაღლებინა ეკონომიური ეფექტი მათი დანერგვის შედეგად.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შედეგად გაძლიერდა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ამის შედეგად წარმოების მოცულობის მატების ტემპი, გადიდდა ფონდამოგება და რენტაბელობა. დარგის ეკონომიური მაჩვენებლების ამაღლებაზე არსებითი გავლენა მოახდინა აგრეთვე სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობამ წარმოების ორგანიზაციისა და მართვის სრულყოფისათვის, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა პარტიულმა კომიტეტებმა რამდენადმე გააძლიერეს პარტიული ორგანიზაციების გავლენა საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობაზე.

ამასთანავე პარტიულ-სამეურნეო აქტივმა აღნიშნა, რომ სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მთლიანად როდი იყენებენ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მინიჭებულ უფლებებსა და შესაძლებლობებს, რათა მნიშვნელოვნად აამაღლონ სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობა, დააჩქარონ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა.

აქტივის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც დასახულია ღონისძიებანი იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომ განვითარებაზე.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე **ე. გ. ლუდუშაური**, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **გ. ა. ანდრონიკაშვილი**, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს „მთავარელექტროტრანსმანქანის“ სამმართველოს უფროსი **ლ. ს. ტაბაჩკინი.**

(საქინფორმი).

## ოქროს შემოდგომა ალაზანზე

# ჩუმლაყელებთან

**ორმოცი** წლის წინათ ჩუმლაყში ოთხი კოლმეურნეობა შეიქმნა. ერთ-ერთს კოლმეურნეობა „გუთანი“ უწოდეს. გლეხთა კოლექტიური გაერთიანებისათვის ასეთი სახელი იმ დროისათვის სიმბოლურიც იყო, ვინაიდან ის-ის იყო მექანიზაცია ფეხს იკიდებდა, სოფლად ახალი ცხოვრება მკვიდრდებოდა. მას შემდეგ სოფლად ბევრი რამ შეიცვალა, ყოველწლიურად მატულობს ხვავი და ბარაქა. კოლმეურნის ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. ახლა ჩუმლაყში ვერ ნახავთ მშრომელ კაცს, კარგად რომ არ ცხოვრობდეს. ყველას აქვს კარგი სახლი, კეთილმოწყობილი კარმიდამო. რადიო, ტელევიზორი, მსუბუქი ავტომანქანა ფართოდ დამკვიდრდა კოლმეურნეთა ცხოვრებაში.

— წინათ ამას სად ნახავდით. რევოლუციამდე ჩუმლაყელი გლეხკაცის ბედი გაჭირვება და ულმობელი ცხოვრება იყო, — ამბობს სოფლის ამაგდარი კაცი, სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი მიხეილ არჩევნიშვილი, — ორმოცდაათი წლის წინათ ჩვენს სოფელში ვიწრო ორღობეები ტალახისაგან გაუვალი იყო, თითო-ოროლას ჰქონდა წესიერი სახლი. აბა ახლა ნახეთ ჩვენი სახლ-კარი, მოასფალტებული თუ მოხრეშილი ქუჩები ლამპიონებით რომ გაჩირაღდნებულა. ჩვენებურები ნამდვილად ქალაქურ ყაიდაზე ცხოვრობენ. ყველას ეზოში აქვს წყალი, ბინები კი ისევე აქვთ გაწყობილი, როგორც ქალაქად. სადღაა გაჭირვება! და ეს ყველაფერი კოლექტიურმა შრომამ მოგვცა. საერთო საქმეზე ყველას გული ისევე შეგვტკივა, როგორც საკუთარზე.

ჩუმლაყი ლამაზი სოფელია, მაგრამ იმ დღეს განსაკუთრებით იყო მიმზიდველი. მთელმა სოფელმა, კოლმეურნეობის ყველა მშრომელმა წელს შესანიშნავად იმუშავეს, დიდი გადამეტებით შეასრულეს ყურძნის დამზადების, მარცვლეულის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ხუთწლიანი გეგმები. მარტო ყურძენი ხუთ წელიწადში ნაცვლად თერთმეტი ათასი ტონისა თორმეტი ათას ხუთასი ტონა დაამზადეს. მიმდინარე წელს კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ 80 ცენტნერი ყურძენი მიიღო, გეგმა კი 58 ცენტნერს ითვალისწინებდა. წელს კოლმეურნეობამ ნაცვლად 2.850 ტონისა სამშობლოს მისცა 3.810 ტონა ყურძენი. ამას თუ დავუმატებთ საკარმიდამო ვენახებიდან დამზადებულ ყურძენს, მაშინ ჩუმლაყიდან წელს ექვსი ათას ტონაზე მეტი ყურძენი მიიღო სახელმწიფომ.

საზეიმო შეკრებაზე, რომელიც კულტურის სახლში მოეწყო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვალერიან უტიაშვილი სიამაყით ლაპარაკობდა იმ მიღწევებზე, რაც ამ უკანასკნელ ათ წელიწადში გაკეთდა. 1960 წელს 280 ჰექტარი ვენახი ჰქონდათ, მაშინ ჰექტარზე საშუალოდ 20,9 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, წელს კი — 80 ცენტნერი. ათი წლის წინათ მთლიანი შემოსავალი 476 ათას მანეთამდე იყო, წელს კი ორ მილიონ 100 ათასი მანეთი იყო.

თავმჯდომარემ დაასახელა სოფლის ღვაწლმოსილი ხელმძღვანელები გიორგი ახვერდაშვილი, სიკო ლიპარტაშვილი, ვანო ბერულაშვილი, რაფიელ ბერიაშვილი, მიხეილ ბერულაშვილი, ალექსანდრე შაკიაშვილი, გაიხსენა ამაგდარი თავმჯდომარე ვლადიმერ ოსოშვილი, რომლისაგანაც ამ ათი წლის წინ ჩაიბარა ესტაფეტა. მათი პორტრეტები გამოფენილია კულტურის სახლის ფოიეში. აქვეა ჩუმლაყის გამოჩენილი ადამიანების ფოტოსურათები. აი ისინიც: საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ვ. მამაცელაშვილი, მეცნიერებათა კანდიდატები გ. დათუაშვილი, ი. მაჭავარიანი, გ. სარალიძე...

მოსავლის დღესასწაულზე ხუთწლედის ახალი გმირების გვარებიც დაასახელეს: მექანიზატორები თემურ ომარაშვილი, გიგო ქართველიშვილი, მერგოლური ილია ბიტარაშვილი, მევენახეები ქეთო ვარაზაშვილი, თინა კეკვიაშვილი, ნუნუ ბურდიაშვილი, ოთარ დაუდიშვილი, მიხეილ ბაწელაშვილი, ხულ თექვსმეტი კოლმეურნე, რომლებსაც თავმჯდომარემ ამ დღის სამახსოვროდ მოოქროვილი მაჯის საათები გადასცა.

კოლმეურნეობის ორმოცი წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე, მოსავლის დღესასწაულზე სოფლის მშრომელები რომ მოდიოდნენ თან მოჰქონდათ ყვავილები და კულტურის სახლის წინ სკვერში მარმარილოს მაღალი სვეტის ძირში, შინმოუსვლელთა ობელისკთან აწყობდნენ. მათ გულთბილად მოიგონეს ის ადამიანები, რომლებმაც თავი შესწირეს ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას. ცაში ატყორცნილ მარმარილოს სვეტზე ოქროს ასოებით არის ამოკვეთილი 200 შინმოუსვლელი ჩუმლაყელის გვარი. მათი ხსოვნა ყველა ჩუმლაყელის გულშია. ბაბე რუაძემ ოთხი ვაჟკაცი გაგზავნა და შინ არც ერთი აღარ დაუბრუნდა, ევა ჭავახიშვილის სამი შვილი დაეცა ბრძოლის ველზე, სამი შვილი დაღუპა ივ. ოსოშვილსაც, ხოლო სიმონ რუაძემ ერთადერთი შვილი დაკარგა. აი ვისი სახელები აწერია ამ ობელისკს.

— ისინი ყოველთვის ჩვენს გვერდით არიან, მათი საგმირო საქმეები გვამხნევებენ, ძალას გვმატებენ, შრომაში აღგვაფრთოვანებენ, ასე დაამთავრა თავისი სიტყვა თავმჯდომარემ.

კულტურის სახლის ფოიეში მოწყობილი გამოფენა სრულად ასახავს კოლმეურნეობის წინსვლას, ორმოცი წლის ისტორიას, იმ მძლავრ ნაბიჯებს, რომლებითაც იარეს სოფლის მშრომელებმა, რომ ასეთი შესანიშნავი წარმატებებისათვის მიეღწიათ.

სოფლის კულტურულ ცხოვრებაზე დადინჯებით ლაპარაკობს კულტსახლის დირექტორი ვალერიან ოთარაშვილი. ახლა ჩუმლაყი კულტურული, ქალაქური ყაიდის სოფელია. საღამო-კონცერტებზე, სპექტაკლებსა თუ კინოფილმების დემონსტრაციაზე კოლმეურნეები დიდი ინტერესით მიდიან კულტურის სახლში. კულტსახლში კოლმეურნეთა ოჯახის წევრები სწავლობენ ქრა-კერვას, ფორტეპიანოს დაკვრასა, ცეკვას, ხალისით მონაწილეობენ დრამატულ, ლიტერატურულ წრეში. ამიტომ იყო, რომ მოსავლის დღესასწაულზე ადგილობრივი ძალებით მოეწყო კონცერტი.

საზეიმო შეკრებაზე გამოსულებმა კომკავშირელმა ქალიშვილმა ნ. ვარამიშვილმა, ბრიგადირმა ვ. ხეტელიშვილმა, კოლმეურნე მ. ომარაშვილმა, სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა დ. ორთოიძემ, კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ნ. რუაძემ, საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ბასილაშვილმა ილაპარაკეს ჩუმლაყის კოლმეურნეობის ორმოცწლიან გზაზე, წარმატებებზე, სოფლის წინსვლაზე, კოლმეურნეთა ცხოვრების ბედნიერ აწმყოსა და უკეთეს მომავალზე.

ჩუმლაყელებმა ამ ზეიმის დღეებში გადაწყვიტეს ახლო მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეებთან, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ისინი.

დიდხანს გრძელდებოდა დღესასწაული ჩუმლაყში, საზეიმო განწყობილებამ კულტურის სახლიდან კოლმეურნეთა ოჯახებში გადაინაცვლა.

**ვ. გოზალიშვილი.**



სურათზე: მოსავლის დღესასწაულზე მოსული მშრომელები ათვალიერებენ ჩუმლაყის კულტურის სახლში მოწყობილ გამოფენას.

ფოტო ვ. მადინაშვილისა.

# მიფრინავს „კოსმოს-374“

### სააქდესის ცნობა

1970 წლის 23 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-374“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც სააქდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს. თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის დაწყებითი პერიოდი — 112,3 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 2153 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 536 კილომეტრი;

ორბიტის დახრილობა — 63 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზეა:

— რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის;

— რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

პროგრამით გათვალისწინებული მეცნიერული კვლევა შესრულებულია.

# საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

**ჩვენი** რესპუბლიკის გაზეთები, რადიო და ტელევიზია უკანასკნელ ხანს შედარებით უკეთ აშუქებენ სამართლებრივ თემებს. ქვეყნდება მეცნიერ-იურისტთა სტატიები, წერილები დამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ, სტატიები ახალ კანონმდებლობაზე, იურიდიული კონსულტაციები მოსახლეობისათვის, სასამართლო ქრონიკა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირად მასალები ამ თემებზე არაკვალიფიციურად კეთდება. ზოგიერთი გაზეთი იშვიათად აქვეყნებს მწვავე, კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებს დამნაშავეობასთან ბრძოლისა და ამ საქმეში საზოგადოებრიობის როლის შესახებ, აგრეთვე საინტერესო ნარკვევებს, ჩანახატებს ადმინისტრაციული ორგანოების მოწინავე მუშაკთა შესახებ.

რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში სამართლებრივი თემების სისტემატურად უკეთ გაშუქების მიზნით საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირმა ამ დღეებში ქ. თბილისში მოაწყო ორდღიანი რესპუბლიკური სემინარი იმ ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ამ თემებზე მუშაობენ.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა **დ. მჭედლიშვილმა.** მან ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის სამართლებრივი თემების სწორად და საინტერესოდ გაშუქებას.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის, პროფესორ **ს. ჯორბენაძის** ლექცია „ახალი კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის **გ. ტყეშელიაძის** — „მექრთამეობა განსაკუთრებით საშიში დანაშაულია“, ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის **ა. გაბიანის** ლექცია „ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ მთელი საზოგადოების ვალია“, საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილის **გ. ბიწაძის** ლექცია „არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და პროფესორ **ი. ტაბალუას** ლექცია საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

სემინარის დასასრულს მოეწყო ჟურნალისტების შეხვედრა-პრეს-კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა **ე. შევარდნაძემ**, საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის პირველმა მოადგილემ **გ. ბიწაძემ**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ **გ. იოსავამ.**

მათ პრეს-კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრეს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება დამნაშავეობის შემცირებისა და ლიკვიდაციისათვის, ილაპარაკეს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის როლზე ამ საქმეში, პასუხი გასცეს ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვაზე.

სემინარის მონაწილეებმა ნახეს რამდენიმე დოკუმენტური და ქრონიკალური მოკლემეტრაჟიანი ფილმი დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. (საქინფორმი).

# მსოფლიო დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთიანობა მტკიცდება

### გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის მიტინგი

**პრაღა.** 23 ოქტომბერი. (საკდესი). აქ გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის დიდი მიტინგი. მიტინგს ესწრებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი.

ჩეხოსლოვაკიის მხრივ მიტინგზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლ. სვობოდა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სხვა პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი.

შეკრებილთა წინაშე სიტყვები წარმოთქვეს გ. ჰუსაკმა და ვ. ულბრიხტმა.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა განაცხადა, რომ სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან კავშირი უზრუნველყოფს ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ განვითარებას. სოციალისტური გერმანული სახელმწიფოს არსებობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისათვის. ორივე ქვეყანა სოციალისტურ სახელმწიფოთა დიადი თანამეგობრობის შემადგენელი ნაწილია. ამ თანამეგობრობის რიგებში, საბჭოთა კავშირთან ერთგული მეგობრობითა და კავშირით ისინი მთელ თავიანთ ძალ-ღონეს ახმარენ სოციალისტური საზოგადოების აყვავებას და ეწევიან საერთო ბრძოლას ევროპასა და მთელს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

გ. ჰუსაკმა განაცხადა, რომ უკანასკნელ წელიწადნახევარში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია და ამ ქვეყნის მილიონობით მშრომელი უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებდნენ იმისათვის, რომ დაეძლიათ 1968 და 1969 წლების პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისის შედეგები. დღეს, პარტიული ბილეთების გამოცვლის შემდეგ, რომლის მსვლელობაში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ თავიდან მოიშორა მემარჯვენე და მერყევი ელემენტები, თქვა ორატორმა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია კიდევ უფრო ერთიანი და შეკავშირებული გახდა იდეოლოგიური და ორგანიზაციული თვალსაზრისით. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია მტკიცედ იცავს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს, აღიდგინა რევოლუციური პარტიის ღირსეული სახელი.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა. მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირთან და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან კავშირი სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერების საიმედო წყაროა. ჩვენ მომავალშიც თვალისჩინივით გავუფრთხილდებით და დავიცავთ ამ კავშირს ყოველი ცდისაგან, რომ დაარღვიონ სოციალისტური სახელმწიფოთა თანამეგობრობის ერთიანობა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოწყობილმა „თანამებრძოლთა ძმობის" წვრთნამ, რომელშიც ვარშავის ხელშეკრულების ყველა სახელმწიფო მონაწილეობდა, ერთხელ კიდევ ნათლად დაადასტურა ჩვენი ძალა, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა.

სოციალისტური სახელმწიფოები ესწრაფვიან დაძაბულობის შენელებას, ყველა ხალხის მშვიდობასა და უშიშროებას. სწრაფი [illegible] სოციალისტური ქვეყნების შემჭიდროება [illegible] ერთიანობის განმტკიცება.

ხალხთა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარება მოითხოვენ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მიღებულ იქნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანასწორუფლებიან წევრებად, რათა ამით განხორციელდეს წესდების ძირითადი პრინციპები, ხაზგასმით აღნიშნა შემდეგ ვ. ულბრიხტმა.

იმის მეოხებით, რომ სსრ კავშირი და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სოციალისტური სახელმწიფოები, რომელთაც მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს საბჭოთა კავშირთან, ახორციელებენ თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, ამ საუკუნეში ევროპამ შეძლო ეცხოვრა ყველაზე ხანგრძლივი მშვიდობის პირობებში.

საბჭოთა კავშირს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს, განაცხადა დასასრულ ვ. ულბრიხტმა, აქვთ ყველა წანამძღვარი და საკმაო ძალა იმისათვის, რომ გადაჭრან ყველა პრობლემა და ამოცანა სოციალიზმის განვითარების, ადამიანთა სოციალისტური ცხოვრებისა და სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესებისათვის.

◆

*ვაშინგტონი*

## შეხვედრა თეთრ სახლში

**ვაშინგტონი,** 22 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. ნიქსონს თეთრ სახლში შეხვდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო. საუბარში მონაწილეობდნენ სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი, პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე ეროვნული უშიშროების დარგში გ. კისინჯერი და სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი.

**ვაშინგტონი,** 23 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან რ. ნიქსონთან შეხვედრის შემდეგ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გააკეთა შემდეგი განცხადება:

„პრეზიდენტთან საუბრის დროს, რომელიც საინტერესო იყო, განვიხილეთ ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები.

მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ შეხვედრასა და საუბრებს დადებითი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის".

## ფაქტები

### გაერთიანებაში შესვლის მოწინააღმდეგენი

● **ოსლო.** 22 ოქტომბერი. (საკდესი). ოსლოში შეიქმნა „საერთო ბაზარში" ნორვეგიის მონაწილეობის წინააღმდეგ სახალხო მოძრაობა", რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

### ნდობის ვოტუმი

● **ბეირუთი.** 22 ოქტომბერი. (საკდესი). ლიბანის რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც ლიბანის პრემიერ-მინისტრმა საიბ სალამმა 18 ოქტომბერს შეადგინა, დღეს პარლამენტის ნდობის ვოტუმი მიიღო. ნდობის ვოტუმს ხმა მისცა დეპუტატთა დიდმა უმრავლესობამ. კენჭისყრა გაიმართა პარლამენტში მთავრობის ახალი პროგრამის ოთხი დღის განხილვის შემდეგ.

### გლეხთა მღელვარება

● **რავალპინდი.** 23 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთ „პაკისტან ტაიმსის" ცნობით, ჩარსადისა და მარდანის რაიონებში (ფეშავარის ახლოს, დასავლეთ პაკისტანში) გრძელდება გლეხთა მღელვარება. სოფლების მცხოვრებნი იარაღით ესხმიან თავს მსხვილ მემამულეთა სახლებს, იტაცებენ მემამულეთა მიწებს.

### თავისუფლების დღე

● **ლუსაკა.** 23 ოქტომბერი. (საკდესი). „ზამბიამ დიდი მსხვერპლი გაიღო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, და ჩვენ ნებას არ მივცემთ მტრებს წაგვართვან ეს დამოუკიდებლობა", — განაცხადა ზამბიის პრეზიდენტმა კენეტ კაუნდამ ლუსაკაში გამართულ მრავალათასიან მიტინგზე, რომელიც ზამბიის დამოუკიდებლობის მეექვსე წლისთავს მიეძღვნა.

### XXI საუკუნე: 7 მილიარდი ადამიანი

● **ნიუ-იორკი.** 22 ოქტომბერი. (საკდესი). თუ არ შეიცვალა მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ახლანდელი ტემპი, 2006 წელს დედამიწაზე იცხოვრებს შვიდი მილიარდი კაცი, ესე იგი ორჯერ მეტი, ვიდრე გასული წლის შუა ხანებში.

წელიწდეულში აღნიშნულია, რომ მსოფლიოს ქალაქებს შორის პირველი ადგილი მცხოვრებთა რიცხვით ამჟამად უკავია ტოკიოს, სადაც 9 მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს. შემდეგ არიან ნიუ-იორკი (8 მილიონი), ლონდონი (7,8 მილიონი) და მოსკოვი (6,9 მილიონი). ქალთა შორის სიცოცხლის ყველაზე მაღალი ხანგრძლივობაა შვეციასა და ჰოლანდიაში. საშუალოდ ისინი ცოცხლობენ 76,5 წელიწადს.

თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობა ქალებზე უფრო ხანმოკლეა.

შობადობის უმაღლესი პროცენტი აღნიშნულია პაკისტანში, იორდანიაში, ლაოსში, ტანზანიასა და ბურუნდიში, სადაც ყოველ ათას მცხოვრებზე წელიწადში იბადება 45-ზე მეტი ბავშვი. ყველაზე დაბალი შობადობა შვეციაშია (13,5 ბავშვი ათას მცხოვრებზე). მთლიანად მსოფლიოში აღინიშნება როგორც შობადობის, ისე სიკვდილიანობის ერთგვარი შემცირება.

## ფაქტები

*მოგადიშო*

## სოციალიზმის გზა ავირჩიეთ

**მოგადიშო.** 22 ოქტომბერი. (საკდესი). „ჩვენ საქვეყნოდ და მტკიცედ ვაცხადებთ, რომ სომალიმ აირჩია სოციალიზმის გზა" — განაცხადა სომალის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტმა მოჰამედ სიად ბარემ სომალის რევოლუციის პირველი წლისთავის ზეიმის გამო ხალხისათვის გაგზავნილ წერილში. სომალის სწრაფი ეკონომიური განვითარებისათვის, ნათქვამია წერილში, სახელმწიფოს კონტროლს უნდა დაუქვემდებაროს წარმოების ყველა საშუალება. ამ პროცესის განხორციელება, აღნიშნა სიად ბარემ, დაიწყო ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მაისში, როცა მოხდა უცხოეთის ბანკებისა და კომპანიების ნაციონალიზაცია. თუ წარმოების ყველა საშუალება, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა, ცალკეული ჯგუფების ხელში იქნება, თავს ვერ დავაღწევთ ხალხის ფართო მასების ექსპლოატაციას, აგრეთვე სამართლიანად ვერ გავანაწილებთ ეროვნულ შემოსავალს. წარმოების საშუალებებისადმი სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი გამოყენებისათვის, თქვა შემდეგ სიად ბარემ, უკვე შექმნილია სპეციალური კომისიები, რომლებიც ამთავრებენ განვითარების სამწლიანი გეგმის შემუშავებას. ამ გეგმაში მთავარი ყურადღება დაეთმობა სომალის ეკონომიკის ტრადიციულ სექტორებს, განსაკუთრებით მეცხოველეობას.

## რეაქცია შეტევაზე გადადის

*სანტიაგო*

**სანტიაგო.** 22 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ტერორისტთა ჯგუფი თავს დაესხა ჩილეს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს გენერალ რენე შნეიდერს. ტერორისტებმა ესროლეს ავტომანქანას, რომლითაც მიდიოდა შნეიდერი და მძიმედ დაჭრეს იგი, გადმოსცა ჩილეს რადიომ.

ოფიციალურ ცნობაში ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ ეს აქტი დაახასიათა, როგორც იმის ცდა, რომ შექმნენ დაძაბული ვითარება ქვეყანაში ეროვნული კონგრესის სხდომის წინ, რომელმაც 24 ოქტომბერს უნდა აირჩიოს ჩილეს პრეზიდენტი. ამავე ცნობაში სამინისტრომ გამოაცხადა, რომ შეიარაღებული ძალები თავიანთ კონტროლს უქვემდებარებენ წესრიგის დაცვას ქვეყანაში. შეიარაღებული ძალების სარდლობა იკისრა მთავარსარდლის მოადგილემ, არმიის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა კარლოს პრატსმა. შეიარაღებული ძალები საბრძოლოდ არიან გამზადებული.

მმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის სახელით პარტიის თავმჯდომარემ ბენხამინ პრადომ სპეციალურ განცხადებაში გადაჭრით დაგმო ტერორისტთა პროვოკაციული აქტი და კვლავ დაადასტურა, რომ პარტია ყოველ ღონეს იხმარს, რათა პრეზიდენტის არჩევნებმა ეროვნულ კონგრესში ნორმალურად ჩაიაროს.

**სანტიაგო.** 23 ოქტომბერი. (საკდესი). ჩილეს პრეზიდენტი ედუარდო ფრეი გუშინ გამოვიდა ეროვნული რადიოთი და ტელევიზიით. „ტერორისტული აქტი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გენერალ შნეიდერის წინააღმდეგ, — თქვა მან, — უწინარეს ყოვლისა პროვოკაციაა, რომელიც მიმართულია მთელი არმიის, ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის წინააღმდეგ".

ედუარდო ფრეიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ჩილეში აღადგინოს სიმშვიდე და შექმნას პირობები ეროვნული კონგრესის ნორმალური მუშაობისათვის, რომელმაც 24 ოქტომბერს ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიოს. ამ მიზნით სპეციალური დეკრეტით მიღებულია გადაწყვეტილება, რომ სანტიაგოს პროვინციაში შემოღებული საგანგებო წესები მთელ ქვეყანაში გავრცელდეს.

დედაქალაქში ორი დღით შემოიღეს კომენდანტის საათი, ცენზურა დააწესეს და დროებით გააუქმეს კონსტიტუციური გარანტიები.

**ლონდონი.** 23 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს სანტიაგოელი კორესპონდენტი გვატყობინებს, ჩილეს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი რენე შნეიდერი, რომელსაც გუშინ თავს დაესხნენ, მძიმე მდგომარეობაშია. კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ შნეიდერი პირადი მეგობარია სალვადორ ალიენდესი, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს სახალხო ერთიანობის ბლოკმა.

*ჰანოი*

## ტერორი გრძელდება

**ჰანოი.** 22 ოქტომბერი. (საკდესი). თხიეუ-კი-ქხიემის მარიონეტული ხროვა ცდილობს განამტკიცოს ანტიხალხური რეჟიმის პოზიციები სამხრეთ ვიეტნამში და აძლიერებს რეპრესიებსა და ტერორს.

საიგონში, შოლონში, ზიადინში პოლიცია აწყობს მოსახლეობის ჩხრეკა-დაპატიმრებებს. 15 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე დაპატიმრებულია 55 ათასზე მეტი კაცი. დაპატიმრებულები რამდენიმე დღე-ღამეს უჭმელ-უსმელი ჰყავთ.

დევნიან გაზეთებსაც, რომლებიც აკრიტიკებენ საიგონის ხელისუფალთა უკანონო მოქმედებას. 15 ოქტომბრიდან დაიხურა 80-ზე მეტი გაზეთი და ჟურნალი. 19 ოქტომბერს სამოცდამეთექვსმეტეჯერ დაჯარიმდა გაზეთი „ტინ შანგი", ხოლო მეორე დღეს საიგონში კონფისკაცია უყვეს გაზეთ „სონგ მოის".

*დარ-ეს-სალამი*

## დამსჯელებს ზარალი მოსდით

**დარ-ეს-სალამი.** 22 ოქტომბერი. (საკდესი). პორტუგალიის კოლონიურ ჯარებს ანგოლაში ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალი მოუვიდათ ოქტომბრის პირველი კვირის მანძილზე, როცა ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის რაზმებმა იერიში მიიტანეს და ნაწილობრივ დაანგრიეს პორტუგალიის ჩიუმის დიდი სამხედრო საგუშაგო აღმოსავლეთ ანგოლაში.

ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის შტაბ-ბინის კომუნიკეს თანახმად, პორტუგალიელთა წარუმატებელი სადამსჯელო ექსპედიციის დროს, ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის რაზმების წინააღმდეგ მიმდინარე წლის ივნის-ივლისში ბიეს რაიონში კოლონიზატორებს ბევრი ჯარისკაცი დაუხოცეს და დაუჭრეს. მოსპეს რამდენიმე სამხედრო სატვირთო მანქანა.

*ჰავანა*

## შიმშილობა პროტესტის ნიშნად

**ჰავანა.** 23 ოქტომბერი. (საკდესი). აი უკვე ერთი თვეა პარაგვაის საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში განაგრძობენ შიმშილობას პოლიტიკური პატიმრები. ისინი პროტესტს აცხადებენ მათდამი მხეცური მოპყრობისა და საპატიმროებში მხეცური პირობების წინააღმდეგ, იუწყება პარაგვაის ბიულეტენი „ინპა".

ბევრმა პოლიტიკურმა პატიმარმა გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ტირან სტრესნერის საპყრობილეებში 12 წელზე მეტი გაატარა. ისინი ჰყავთ საკნებში, სადაც არ აღწევს სინათლის სხივი, მათ აწამებენ. პატიმართა შორის არის ბევრი ქალი, რომლებიც დააშორეს შვილებს.

პატიმრებს სცემენ და აიძულებენ შეწყვიტონ შიმშილობა.

ამ ბოლო თვეებში, აღნიშნავს „ინპა", სტრესნერის ბრძანებით დაიწყო ახალი რეპრესიები პროფესიულ მოღვაწეთა პოლიტიკური ოპოზიციის, ინტელიგენციის, მუშებისა და გლეხების წარმომადგენელთა წინააღმდეგ. რეპრესიებს მიმართავენ ზოგიერთი ოფიცრის წინააღმდეგაც.



ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება გაშმაგებული კამპანია ზანგთა ორგანიზაციის „შავი ავაზების" წინააღმდეგ. პოლიცია ყველა ხერხს ხმარობს სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლთა კანონიერი მოთხოვნების უგულებელყოფისათვის, აწყობს ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინებზე თავდასხმას, იყენებს ყველა საშუალებას — ფიზიკურ ძალას, იარაღს, ყუმბარებს, ტერორს, დევნას და სხვ.

სურათზე: თავდასხმა ახალი ორლეანის „შავი ავაზების" ორგანიზაციის შენობაზე.

ფოტო გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსიდან".

### 24 ოქტომბერი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღეა

## მშვიდობის სადარაჯოზე



ოცდახუთი წლის წინათ, — 1945 წლის 24 ოქტომბერს ძალაში შევიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. დასაბამი მიეცა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ორგანიზაციის არსებობას, მის მოღვაწეობას საყოველთაო მშვიდობის უზრუნველსაყოფად, კაცობრიობის ეკონომიური და სოციალური პროგრესის საკეთილდღეოდ. ამიტომ 24 ოქტომბერი ყოველ წელს აღინიშნება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღე. წლეულს ეს თარიღი საიუბილეოა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის დროს იმ ხალხთა ნებით, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდნენ ნაცისტური გერმანიის, მისი სატელიტებისა და იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ. იგი შეიქმნა სწორედ იმ მიზნით, რომ კაცობრიობამ არასოდეს აღარ განიცადოს მსოფლიო ომის საშინელება, ხალხებმა იცხოვრონ როგორც კეთილმა მეზობლებმა, მშვიდობიანად გადაწყვიტონ ყოველი დავა ურთიერთ შორის, საერთო ძალით აღკვეთონ აგრესია და უზრუნველყონ საყოველთაო მშვიდობა. ეს უმთავრესი მიზანი გამოცხადებულია წესდების პრეამბულასა და პირველ მუხლში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზანს შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ის დემოკრატიული საწყისები, რომლებიც საფუძვლად დაედო წესდებას და რომელთა დაცვა ყველა წევრი სახელმწიფოს საერთაშორისო ვალია. კერძოდ, ორგანიზაცია ემყარება ყველა სახელმწიფოს სუვერენული თანასწორობის პრინციპს. ამის გამოხატულებაა ის, რომ მის მთავარ ორგანოში, გენერალურ ასამბლეაში, თვითეულ წევრ სახელმწიფოს ერთი ხმა აქვს, ისინი თანაბარი უფლებებით სარგებლობენ სხვა ორგანოებშიც, თანაბარია მათი მოვალეობაც ორგანიზაციის წინაშე.

ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს უშიშროების საბჭო, სადაც 5 დიდი სახელმწიფო — სსრ კავშირი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი — მუდმივი წევრებია და სადაც მოქმედებს მათი ერთხმივობის პრინციპი, როცა საკითხი ეხება მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ასეთ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია საბჭოს 15 წევრიდან სულ მცირე 9 ხმა და ამ უკანასკნელთა რიცხვში — ხუთივე მუდმივი წევრის ხმა.

ერთხმივობის პრინციპი არ არღვევს წევრ სახელმწიფოთა სუვერენულ თანასწორობას; იგი ნაკარნახევია ობიექტური გარემოებით, სახელდობრ იმით, რომ უშიშროების საბჭო თავის ფუნქციას — აგრესიის საფრთხის აღკვეთისა და აგრესიის დათრგუნვის ფუნქციას წარმატებით შეასრულებს, თუ სათანადო კოლექტიურ ღონისძიებებს ერთსულოვნად დაუჭერს მხარს ხუთი დიდი სახელმწიფო, რადგან მათი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორია; და პირიქით: თუ ეს სახელმწიფოები ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებზე დადგებიან, არა მარტო ჩაიშლება კოლექტიური სანქციები აგრესორის მიმართ, არამედ შეიქმნება იმის საფრთხე, რომ აგრესიის აქტი მსოფლიო მასშტაბის კონფლიქტად გადაიზარდოს.

ამ პრინციპთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო დავის გადაწყვეტა მშვიდობიანი საშუალებებით. წესდება ავალებს წევრ სახელმწიფოებს ურთიერთ შორის დავა გადაჭრან უშუალო დიპლომატიური მოლაპარაკებით, სხვა სახელმწიფოთა შუამავლობით, არბიტრაჟით ან საერთაშორისო სასამართლოში, ბოლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით. აქ დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა უშიშროების საბჭოს კომპეტენციაშია.

გარდა აღნიშნული არასამხედრო ხასიათის ღონისძიებებისა, უშიშროების საბჭოს შეუძლია აგრესორის წინააღმდეგ გამოიყენოს სამხედრო სანქციები, დაწყებული სამხედრო დემონსტრაციითა და ბლოკადით და დამთავრებული შეიარაღებული ძალების საომარი ოპერაციებით. ეს შეიარაღებული ძალები უშიშროების საბჭოს უნდა გადასცენ იმ სახელმწიფოებმა, რომლებსაც ამის თაობაზე სპეციალური შეთანხმებები ექნებათ დადებული საბჭოსთან ამ უკანასკნელის მოთხოვნით.

რაც შეეხება გენერალურ ასამბლეას, იგი უფლებამოსილია განიხილოს საერთაშორისო თანამშრომლობის ყველა საკითხი, რომელიც საერთოდ შედის ორგანიზაციის კომპეტენციაში, კერძოდ — მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში სახელმწიფოთა თანამშრომლობის ზოგადი პრინციპები, შეიარაღების რეგულირებისა და განიარაღების საკითხები და ყველა ამის თაობაზე რეკომენდაციები მისცეს როგორც წევრ სახელმწიფოებს, ისე უშიშროების საბჭოს. გენერალურ ასამბლეას შეუძლია განიხილოს მშვიდობისათვის საფრთხის შემცველი ესა თუ ის კონკრეტული საერთაშორისო დავის თუ სიტუაციის საკითხიც, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშიშროების საბჭო სთხოვს მას ამის შესახებ. ამ შემთხვევაშიც გენერალური ასამბლეა იღებს რეკომენდაციის ხასიათის რეზოლუციას, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, რომელსაც სავალდებულო ძალა აქვს.

როგორ ახორციელებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამ 25 წლის განმავლობაში თავის ძირითად დანიშნულებას?

პირველ ხანებში სჭარბობდა იმპერიალისტური სახელმწიფოების გავლენა, რამაც არაერთხელ განაპირობა მისი მარცხი. აშშ და სხვა იმპერიალისტური ქვეყნები თავიანთი აგრესიული პოლიტიკის იარაღად იყენებდნენ მას. საკმარისია გავიხსენოთ აშშ-ის ინტერვენცია კორეაში, რაც გაერთიანებული ერების ალმით ხორციელდებოდა.

თანამედროვე მსოფლიოში ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო არენაზე სულ უფრო იცვლება დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალიზმის სასარგებლოდ. აშშ-სა და მათთან სამხედრო ბლოკებით დაკავშირებულ სახელმწიფოებს სულ უფრო უძნელდებათ სწორ გზას აცდინონ ორგანიზაცია, მიიღონ მისი თანხმობა აგრესიის აქტების ჩასადენად, უმწეო გახადონ იგი დედამიწის სხვადასხვა რაიონში ომის საშიში კერების შექმნისას, აქ სულ უფრო ფართო მხარდაჭერას პოულობს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ბრძოლა ამ საშიში კერების ჩასაქრობად და საყოველთაო მშვიდობის დაცვა-განმტკიცებისათვის.

ანტიიმპერიალისტური ძალების მხრივ სოციალისტური სახელმწიფოების მტკიცე პოზიციებისათვის მხარდაჭერის მეოხებით ორგანიზაციის მოღვაწეობა სულ უფრო დგება მშვიდობის სამსახურში. ამ მხრივ აღსანიშნავია ისეთი წარმატებანი, როგორიც იყო ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიის შეჩერება, ლიბანსა და იორდანიაში ინგლის-ამერიკის ინტერვენციის დროული აღკვეთა, დასავლეთ ირიანის გამო ინდონეზია-ჰოლანდიის დავის სამართლიანი გადაწყვეტა. ქაშმირის თაობაზე ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის მოგვარება, კვიპროსზე შექმნილი საომარი სიტუაციის ლიკვიდაცია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟის განმტკიცებას, მის მიერ უმთავრესი მიზნის განხორციელებას ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი აქტების მიღება, როგორიც არის გენერალური ასამბლეის რეზოლუცია ომის პროპაგანდის აკრძალვაზე, დეკლარაცია სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობაზე, საბჭოთა კავშირის ინიციატივით გაჩაღებული მუშაობა აგრესიის ცნების განმსაზღვრელი კონვენციის დასადებად და სხვ. მთავარი წარმატება კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ 25 წლის განმავლობაში კაცობრიობამ თავიდან აიცილა ახალი მსოფლიო ომი, რაშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უთუოდ დიდი წვლილი შეიტანა.

საერთაშორისო დაძაბულობის მთავარ წყაროს წარმოადგენს სახელმწიფოების, უმთავრესად კი ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნების გამალებული შეიარაღება. ამიტომ შეიარაღების რეგულირებისა და საერთოდ განიარაღების პრობლემა საერთაშორისო ცხოვრების კარდინალური პრობლემაა. საბჭოთა კავშირის ბეჯითი მეცადინეობით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეძლო მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაედგა ამ პრობლემის გადაჭრის მიმართულებით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოსკოვის ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვაზე სამ სფეროში და ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.

საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფა მჭიდროდ უკავშირდება კოლონიალიზმის სრულ ლიკვიდაციას, რომლის საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძველი ნათლად აისახა წესდებაში ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის სახით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ანტიიმპერიალისტური განმათავისუფლებელი ბრძოლის მძლავრმა აღმავლობამ გამოიწვია კაპიტალიზმის კოლონიური სისტემის სწრაფი რღვევა და მრავალი ახალი სუვერენული სახელმწიფოს წარმოშობა. ამ პროცესს დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მტკიცე პოზიციამ.

მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო ამ 25 წლის მანძილზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობა სოციალური თანამშრომლობისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის დარგებში. ეს მოღვაწეობაც ხორციელდებოდა ეკონომიური და სოციალური საბჭოს და მისი სხვადასხვა ორგანოების მეშვეობით, აგრეთვე სპეციალიზებულ დაწესებულებებთან თანამშრომლობით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კონვენცია გენოციდის დანაშაულისა და მისი დასჯადობის შესახებ, გენერალური ასამბლეის რეზოლუციები ომის დამნაშავეთა დასჯის აუცილებლობაზე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა პაქტები, აპარტეიდის გამოცხადება დანაშაულებრივ პოლიტიკად, კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციაზე.

სახელმწიფოთა თანამშრომლობას ეკონომიურ, სოციალურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა დარგებში უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო პროგრესისათვის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დარგებში წარმატების აუცილებელი პირობაა მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფა, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმთავრეს მიზანს შეადგენს; უპირველეს ყოვლისა სწორედ ამისათვის შეიქმნა იგი 25 წლის წინათ, როგორც უნივერსალური პოლიტიკური საერთაშორისო ორგანიზაცია. დასავლეთის მრავალი პოლიტიკური მოღვაწე თუ იურისტი კი განზრახ ივიწყებს ამ ჭეშმარიტებას და ცდილობს ორგანიზაციის მოღვაწეობაში სიმძიმის ცენტრი ეკონომიურ, სოციალურ და მეცნიერულ-ტექნიკურ საკითხებზე გადაიტანოს, მათ მიანიჭოს უპირატესი მნიშვნელობა. ამ ტენდენციის დასაბუთების მიზნით ისეთ პროგნოზებსაც იშველიებენ, თითქოს, დედამიწის მოსახლეობის ზრდა უფრო დიდ კატასტროფას მოასწავებდეს კაცობრიობისათვის, ვიდრე ახალი მსოფლიო ომი ბირთვული იარაღის გამოყენებით.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობა სულ უფრო მეტად წარიმართოს უმთავრესი მიზნის განხორციელებისაკენ, და მოქმედების სათანადო კონკრეტულ პროგრამას სთავაზობენ მას. მსოფლიოს პროგრესული ძალები მხარს უჭერენ ამ პროგრამას და რწმენას გამოთქვამენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეძლებს გაამართლოს თავისი დანიშნულება.

**გ. შვანია,**
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

## გადმოგვეცით ბანდიტები და მკვლელები

**ვილნიუსი.** 22 ოქტომბერი. (საკდესი). გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია ლიტვაში ცის ყაჩაღების ბრაზინსკასების სისხლიანმა დანაშაულმა და თურქეთის გარკვეული წრეების ცდებმა, რომ ხელი შეუწყონ რეაქციულ ემიგრანტულ წრეებსა და იმპერიალისტურ დაზვერვებს დაიცვან სისხლის სამართლის დამნაშავენი. მთელ რესპუბლიკაში გამართულ მიტინგებზე პრესის, რადიოსა და ტელევიზიისათვის გაგზავნილ წერილებსა და დეპეშებში მშრომელები აღშფოთებას გამოთქვამენ „ან-24" თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრებზე ბანდიტური თავდასხმის, კომკავშირელი ბორტგამყოლის ნადეჟდა კურჩენკოს მოკვლის გამო.

ქალაქ ტრაპიზონის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საერთაშორისო სამართლის უაღრესად უხეში დარღვევაა, განაცხადა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა დოცენტმა ვ. კურისმა. მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის ინტერესები მოითხოვენ, რომ თურქეთის ხელისუფლებმა გადმოსცენ ჩვენს ქვეყანას ცის მეკობრენი და მკვლელები.

მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა რაიონულ ცენტრ ვევისში, სადაც ადრე ცხოვრობდნენ ბრაზინსკასები და სადაც უფროსი მათგანი — პრანას ბრაზინსკასი სჩადიოდა ბინძურ მაქინაციებს. თანამემამულეებმა აღშფოთებით დაგმეს ურჯუკი, რომელმაც დანაშაულებრივ გზაზე დააყენა თავისი ვაჟიშვილიც.

წყევლა-კრულვით მოიხსენია პრანას ბრაზინსკასი მისმა ღრმად მოხუცებულმა დედამ მარიონა ბრაზინსკენემ. მან თქვა, თუ რა ხარბი, მუქთახორა თაღლითი იყო იგი. მან დედას სახლი გააყიდინა, ფული დასტყუა, შემდეგ კი უპატრონოდ, ბედის ანაბარა მიატოვა. დედა უცხო ადამიანებმა შეიბრალეს და შეიკედლეს.

დავაბრუნოთ ალვირახსნილი ბოროტმოქმედი და მისი შვილი საბჭოთა კავშირში, რათა მიიღონ საკადრისი სასჯელი — გადაჭრით მოითხოვს რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენცია. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ლიტვის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ე. ბალსისმა თქვა, რომ იგი შეაძრწუნა ცნობამ ბრაზინსკასების მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

— სავსებით კანონზომიერია, — აღნიშნა ე. ბალსისმა, — რომ სამშობლოს მოღალატეებს — სისხლის სამართლის დამნაშავეებს გამოუჩნდნენ მფარველები — ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირებულ ლიტველთა რეაქციული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ისეთივე მოღალატენი და დამნაშავენი, როგორიც თვითონ არიან.

თუ რაოდენ სამართლიანია ეს მოთხოვნა, მოწმობს აგრეთვე ლიტვის სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ი. მისიუნასის გამოსვლა, რომლის თავმჯდომარეობითაც განიხილეს 1965 წელს პ. ბრაზინსკასის სისხლის სამართლის საქმე. მაშინ სასამართლომ დაადგინა, რომ მან, ვევისში მაღაზიის გამგედ მუშაობის დროს, მიითვისა დიდძალი ფული და მაღაზია თავის კერძო დუქნად გადააქცია, ამისათვის ბრაზინსკასს მიესაჯა პატიმრობა ხუთი წლის ვადით.

— და აი, ამ ბანდიტმა და თაღლითმა ახლა ჩაიდინა უმძიმესი დანაშაული, — ამბობს ი. მისიუნასი. — ელემენტარული სამართლიანობა, ადამიანის სინდისი და, ბოლოს, საერთაშორისო სამართლის ნორმები მოითხოვენ, რომ გაქცეული დამნაშავენი გადმოსცენ საბჭოთა მართლმსაჯულებას.

ეკონომისტი დ. შოვა, რომელიც რვა წლის წინათ დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ემიგრაციის შემდეგ, აღშფოთებით ლაპარაკობს ბრაზინსკასების მიერ ჩადენილ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულზე, თურქეთის ზოგიერთ ხელისუფალთა, რბილად რომ ვთქვათ, საოცარ მოქმედებაზე, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუწყონ ოკეანისგაღმელ ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა უწმინდურ საქმიანობას.

— ჩვენ, რეემიგრანტები, რომლებიც კვლავ დავუბრუნდით მამა-პაპათა სამშობლოს, — თქვა დ. შოვამ, — გულისწყრომით ვგმობთ სოციალისტური სამშობლოსა და მშობელი ხალხის ღალატს. თუ არა მე, ვინ უნდა იცნობდეს ლიტველი ემიგრანტების რეაქციულ ელემენტთა ნამდვილ სახეს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თურქეთში აღმოჩნდებიან საღად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც შეიგნებენ, რომ სამართლიანობამ უნდა გაიმარჯვოს, და დამნაშავენი უნდა წარდგნენ საბჭოთა სასამართლოს წინაშე.

### ლაპარაკობენ საბჭოთა ლიტვის მშრომელები



# მასპინძლობდა საქართველო

## გუშინ თბილისში მუშაობა დაამთავრა რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა IX სრულიად საკავშირო ყრილობამ

**„კომუნისტის“ ინტერვიუ პროფესორ ი. შეხტერთან**

გუშინ მუშაობა დაამთავრა რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა IX სრულიად საკავშირო ყრილობამ, რომელიც ოთხ დღეს მიმდინარეობდა თბილისში. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მუშაკი ესაუბრა ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრს, რსფსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის რენტგენოლოგიის კათედრის გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ილია ალექსანდრეს-ძე შეხტერს და სთხოვა გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი ყრილობის მუშაობაზე, ჩვენს დედაქალაქში გატარებულ დღეებზე. აი რა უამბო მან კორესპონდენტს:

— დიდ პატივად ვთვლი ყოფილიყავ მონაწილე და საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ყრილობისა, რომელმაც დიდად ნაყოფიერი მუშაობა გასწია თქვენს მზიურ, მშვენიერ დედაქალაქში. ჩემი პირველი სიტყვა თქვენი გაზეთის მკითხველებისადმი, ეს იქნება — უსაზღვრო მადლობა და კმაყოფილება იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რაც არა მარტო კოლეგებმა, არამედ საერთოდ თბილისელებმა გაგვიწიეს აქ სტუმრებს. მე თითქმის არც კი ჩავითვლები სტუმრად, რადგან არაერთხელ ვყოფილვარ თბილისში. აქ მყავან ჩემი მოწაფეები — უმცროსი კოლეგები. მუდამ მომიხარია თბილისში, საქართველოში. მუდამ რაიმე დიდმნიშვნელოვან ცვლილებას, სიახლეს, ზრდას, შენებას, მშვენებას ვხედავ ამ ისედაც ბუნებისა და კაცისაგან მადლმოსილ ქალაქში. გთხოვთ ჩაწეროთ თქვენს საუბარში ჩემი დიდი მადლობა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ამხანაგებისადმი, ყველა იმ პირსადმი, რომლებმაც ხელი შეგვიწყეს იმაში, რომ წარმატებით ჩაგვეტარებინა ეს ყრილობა. ყრილობა კი, მოგეხსენებათ, ღრმა კვალს ტოვებს რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიაში. ბევრი რამ ახალი, აღმავალი, მანამდე მიუკვლეველი იქნა წარმოდგენილი მოხსენებების სახით ჩვენს ყრილობაზე. დიდი მნიშვნელობა მიეცა, მაგალითად, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი რენტგენოლოგის პროფესორ ი. სოკოლოვის, საბჭოთა კავშირის რენტგენოლოგთა საზოგადოების გენერალური მდივნის პროფესორ ლ. როზენშტრაუხის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გულ-მკერდის ქირურგიის ინსტიტუტის რენტგენოლოგიური განყოფილების გამგის პროფესორ ი. რაბკინისა და ჩემს ერთობლივ მოხსენებას რენტგენოდიაგნოსტიკის თანამედროვე პრობლემებზე.

ჩემი მეცნიერული შრომის უდიდესი ნაწილი მივუძღვენი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებათა დიაგნოსტიკას და რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების შემუშავებას; ამიტომაც, ბუნებრივია, ჩემი საპროგრამო მოხსენების თემა იყო რენტგენოდიაგნოსტიკის შემდგომი განვითარების გზები ავადმყოფთა გამოკვლევის უახლესი მეთოდების დარგში.

საბჭოთა კავშირში უდიდესი მეცნიერული კვლევა მიმდინარეობს ავთვისებიან სიმსივნეთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დარგში. ამ მხრივ საბჭოთა მეცნიერთა გამოკვლევები მტკიცედ დგას საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. უფრო მეტიც — ამ დარგში ჩვენს ქვეყანაში მეტი ეფექტია. ეს გასაგებიც არის, რადგან პარტიისა და მთავრობის ზრუნვით კომუნიზმის მშენებელი ჩვენი ადამიანებისათვის გარანტირებულია უფასო მკურნალობა, მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში მილიონობით ადამიანისათვის იგი მიუწვდომელია, რადგან პაციენტის ხარჯზე ხდება.

მეტად ორიგინალური, საინტერესო და ეფექტურია შედეგები კვლევისა, რასაც ქალაქ ობნინსკის რადიოლოგიური ინსტიტუტი აწარმოებს. კოლეგისა და მეგობრისათვის სიამაყის გრძნობა მათქმევინებს, რომ სწორედ ამ ინსტიტუტს დიდი ამაგი დასდო თქვენმა სახელოვანმა თანამემამულემ, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის რადიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა საკავშირო საზოგადოების უცვლელმა თავმჯდომარემ (პრეზიდენტმა), მსოფლიოში სახელმოხვეჭილმა მეცნიერმა გიორგი არტემის-ძე ზედგენიძემ. რაკი სიტყვამ მოიტანა, ვერ შემიძლია გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს არ ვუთხრა, რომ გიორგი ზედგენიძე და მე არაერთხელ ვყოფილვართ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საბჭოთა რადიოლოგებისა და რენტგენოლოგების იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობდა თქვენი თანამემამულე, და ყველგან დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭია საბჭოთა დელეგაციას. აქვე დავძენ, რომ გიორგი ზედგენიძის კალამს ეკუთვნის 200-მდე მეცნიერული ნაშრომი, რომელთაგან 18 მონოგრაფია და სახელმძღვანელოა. ბევრი მისი ნაშრომია თარგმნილი უცხო ენებზე. მისი მეცნიერული ხელმძღვანელობით მომუშავე რადიობიოლოგიის ინსტიტუტის შრომებმა აღიარება ჰპოვეს მთელ მსოფლიოში, კერძოდ, რადიობიოლოგიის, რადიაციული გენეტიკის, ორგანიზმის სხივური დაზიანების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის, ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობის დარგში.

საბჭოთა მეცნიერებამ იმას მიაღწია, რომ შესაძლებელი ხდება კიბოს, ხარშვე ჯირკვლის, საშვილოსნოს ყელის დაუგვიანებელი კიბოს განკურნება. ამიტომ უნდა დავიმახსოვროთ ის უპირველესი მნიშვნელობა, რაც კიბოს მკურნალობის ეფექტურობაში ენიჭება ავადმყოფის დროულად მისვლას საექიმო დახმარებისათვის.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ყრილობის მუშაობაში გამოჩენილი საზღვარგარეთელი კოლეგების მონაწილეობის მნიშვნელობა. ყრილობამ დიდი პატივით მიიღო საპატიო სტუმრები — პოლონეთის რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი პროფესორი სტანისლავ ზგლიჩინსკი, უნგრეთის რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი პროფესორი ზოლტან ჟებეკი, მათი კოლეგები: რუმინეთიდან — პროფესორი გიორგი კიმლაგი, იუგოსლავიიდან — პროფესორი დიმიტრი ტეჩჩევი, ფინეთიდან — პროფესორი კარლ-ერნსტ უნერუსი, შვეციიდან — პროფესორი ოლე ოლსონი, საფრანგეთიდან — პროფესორი ჟან ტუბინი და სხვები. საქართველოს რუსულ პრესაში და, რამდენადაც ვიცი, თქვენს პატივცემულ გაზეთშიც მკითხველებისათვის ცნობილი გახდა ყრილობის მონაწილე გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერთა სახელები.

არ შევცდები, თუ განვაცხადებ ყველა მათგანის სახელით, რომ ჩვენს ყრილობას ღირსეულად მასპინძლობდა საყვარელი საქართველო და იგი ამის გამოც მადლობის ღირსია. დაე სწორედ აქ, საქართველოს დედაქალაქ თბილისში ამ ოთხი დღის მანძილზე მეცნიერთა მიერ გაწეული შრომაც იყო იმის საფუძველი, რომ უფრო ეფექტურად ვიბრძოლოთ ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ატომისა და კოსმოსის ეპოქის მეცნიერებამ ფეხი აეწყოს ამ ეპოქის მიერვე წამოყენებული მოთხოვნებისათვის, რომ აღარ არსებობდეს დაუმარცხებელი ავადმყოფობა. რენტგენოლოგია და რადიოლოგია ამ მხრივ მომავალშიც უდიდეს საქმეს გააკეთებს.

• • •

გუშინ მუშაობა დაამთავრა რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა მე-9 სრულიად საკავშირო ყრილობამ. ოთხი დღის მანძილზე ყრილობის მონაწილეებმა მოისმინეს 300 მოხსენება რენტგენოლოგიური — და რადიოიზოტოპური დიაგნოსტიკის, სხივური თერაპიის, რადიობიოლოგიის, კლინიკური დოზიმეტრიისა და რადიაციური ტექნიკის აქტუალურ პრობლემებზე.

ყრილობის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს, როცა გამოვიდნენ თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერები პროფესორები გ. სტრემინი (ლენინგრადი), ტ. რსავჩენკო (კიევი), ნ. ალექსანდროვი (მინსკი), დ. აბდურასულოვი (ტაშკენტი), მოსკოველი რენტგენ-რადიოლოგები ი. ლაგუნოვა, ლ. გორიზონტოვი, გ. ზუბკოვსკი, ა. კოზლოვი და სხვები. შინაარსიანი მოხსენებანი მოამზადეს ქართველმა მედიკებმა, პროფესორებმა გ. ნაზარიშვილმა, ი. ზედგენიძემ, რ. ვეფხვაძემ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ტ. ბარამიძემ და სხვებმა. სასიხარულოა, რომ ყრილობაზე მოხსენებანი გააკეთეს საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ახალგაზრდა მეცნიერმა თანამშრომლებმა ც. კიკვაძემ, ნ. ობოლაძემ, ა. ჩიკვაშვილმა, ა. მურღულიამ და სხვებმა.

ყრილობაზე აირჩიეს საბჭოთა კავშირის რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრები. მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი ა. ქვალიაშვილი. (საქინფ.).

# თედო ბეგიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ფილოლოგი, ფოლკლორისტი, პედაგოგი, და საზოგადო მოღვაწე, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი თევდორე მალაქიას-ძე ბეგიაშვილი, რომელიც ორმოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში თავდადებით, დაუღალავად ემსახურებოდა მშობლიური კულტურის შესწავლისა და მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

თევდორე ბეგიაშვილი დაიბადა 1894 წელს სოფელ ფანიანში (სიღნაღის რაიონი), მოსამსახურის ოჯახში. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ შევიდა იურიევის (ახლანდელი ტარტუს) უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1917 წლის მაისში თ. ბეგიაშვილი ბრუნდება სამშობლოში და ბინავდება ქ. სიღნაღში. აქედან მოყოლებული იგი დაუღალავად ემსახურებოდა ქართველი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეს.

1941 წელს თ. ბეგიაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ქართული ფოლკლორისტიკის ძირითადი საკითხები“.

1956 წლიდან თ. ბეგიაშვილი ძირითადად თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობს ჯერ რუსული ლიტერატურის, ხოლო შემდეგ ქართული ლიტერატურის კათედრებზე.

მრავალფეროვანია თედო ბეგიაშვილის სალიტერატურო მოღვაწეობაც. იგი ავტორია ათამდე ცალკე წიგნად გამოცემული ნაშრომისა და მრავალი საგაზეთო წერილისა.

პროფესორ თ. ბეგიაშვილის ფოლკლორისტული ნამუშევრებიდან აღსანიშნავია აგრეთვე: „ახალი მოტივები ქართულ ფოლკლორში“, „აკაკი წერეთელი და ქართული ფოლკლორი“, „ქართული ფოლკლორული მასალის გამოყენება ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში“ და სხვ. მას კიდევ არა ერთი ფრიად საინტერესო წერილი და ნარკვევი აქვს გამოქვეყნებული ისტორიული, ლიტერატურული, პედაგოგიური და სხვა ხასიათისა.

— მეცნიერი, პედაგოგი, გულისხმიერი აღმზრდელი და ჰუმანური პიროვნება — ai როგორი დარჩება თედო ბეგიაშვილი მისი მრავალრიცხოვანი თანამშრომლებისა და აღმზრდელებისათვის.

**საქართველოს სსრ უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი; თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.**

# მ შ ვ ი დ ო ბ ი ს გ ზ ე ბ ი თ

ამ დღეებში ერევანში მუშაობა დაამთავრა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ჟურნალისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმმა, რომელიც მოაწყვეს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა და სომხეთის ჟურნალისტთა კავშირმა იუნესკოსთან ერთად. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ორი კონტინენტის 18 ქვეყნისა და ამიერკავკასიისა და შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებმა.

სიმპოზიუმი მიეძღვნა მეტად აქტუალურ პრობლემას — „საზოგადოება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი“.

სიმპოზიუმის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტთა საერთაშორისო ფორუმის მონაწილეთა ერთი ჯგუფი თბილისს ეწვია. ჩვენს დედაქალაქში ჩამოვიდნენ ინდოეთის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სუდანის, სირიის, უგანდის, ერაყის, ავღანეთის, უნგრეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

უცხოელ ჟურნალისტებს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წარმომადგენლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. სტუმრებმა დაათვალიერეს ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ეწვივნენ შამპანური ღვინოების ქარხანასა და ჩაის საწონ ფაბრიკას. გაემგზავრნენ გურჯაანსა და ყვარელში. აქ ჟურნალისტებს შეხვედრა ჰქონდათ ამ რაიონების კოლმეურნეებთან და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებთან, გაეცნენ ი. ჭავჭავაძისა და კ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმებს.

## ჟურნალისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილენი საქართველოში

19 ოქტომბერს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფორუმის მონაწილენი გაემგზავრნენ სოხუმში. აქ ისინი გაეცნენ ქალაქ-კურორტს, მის ღირსშესანიშნავ ადგილებს, იყვნენ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტში, სადაც დაათვალიერეს მაიმუნების საჯიშე მეურნეობა, ეწვივნენ გულრიფშის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობას.

სოხუმში ყოფნისას ჟურნალისტები დაესწრნენ საბჭოთა თვითმფრინავზე ბანდიტური თავდასხმის დროს გმირულად დაღუპული კომკავშირელი ქალიშვილის ნადეჟდა კურჩენკოს ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგს. მშვიდობის დაცვისათვის მებრძოლმა უცხოელმა ჟურნალისტებმა თავიანთი ხმა შეუერთეს საბჭოთა ადამიანების მრისხანებას და გმირი ქალიშვილისადმი პატივისცემის ნიშნად გვირგვინებით შეამკეს მისი ცხედარი. გვირგვინზე წარწერაა: „აზიისა და აფრიკის ქვეყნების ჟურნალისტთა ერევნის საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეთაგან“.

21 ოქტომბერს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ჟურნალისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილენი მოსკოვში გაფრინდნენ. გამგზავრების წინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა დელეგაციის რამდენიმე წევრს და სთხოვა მათ გამოეთქვათ თავიანთი შთაბეჭდილება ჩვენს რესპუბლიკაში მოგზაურობასთან დაკავშირებით.

**ლეილა ბეზელი** — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა. — მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა ჩამოვსულიყავი თქვენს მშვენიერ რესპუბლიკაში, რუსთაველის სამშობლოში, მე კარგად ვიცნობ თქვენს მწერლობას, პოეზიას, და სასიამოვნოა, რომ გამიმართლდა წარმოდგენა საქართველოზე. აქ იმდენი მზე, სითბო და კეთილი მასპინძლობა ვიგრძენი, რომ ჩემი სამშობლო შორეულად აღარ მეჩვენა.

**კატსიბაზი** — უგანდა — საბჭოთა საქართველოს, მისი ხალხის გაცნობამ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ ვნახეთ თქვენი საწარმოები, შევხვდით სოფლის მეურნეობის მუშაკებს. მათი შემოქმედებითი შრომის გაცნობამ დაგვანახვა, თუ რის გაკეთება შეუძლია თავისუფალ ხალხს.



**სურათზე:** აზიისა და აფრიკის ქვეყნების ჟურნალისტთა ერევნის საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეთა ერთი ჯგუფი თბილისში, სასტუმრო „ივერიასთან“.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# ფენიქსის სასროლეთზე

მსოფლიო ჩემპიონატი სროლაში, რომელიც რამდენიმე დღეა გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ფინიქსის სასროლეთზე, სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია.

წარმატებით გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები, მატულობს ოქროს მედლების რაოდენობა, ჩვენი მსროლელები ლიდერები არიან (10 ოქროს, 8 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი). „გაქცეულ ტახზე“ სროლაში სსრ კავშირის გუნდმა ოქროს მედალი დაიმსახურა — 1.439 ქულა. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ სსრ კავშირისა და ევროპის რეკორდსმენი დინამოელი ა. ბუცისი (რიგა), კოლმეურნელი ვ. სტარატელევი, მსოფლიოს რეკორდსმენი ი. ნიკიტინი (ვორონეჟი) და საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი ვ. პოსტოიანოვი (პეტროზავოდსკი).

მცირეკალიბრიანი შაშხანის 50 მეტრზე დგომელა მდგომარეობიდან სროლაში საბჭოთა გუნდი მეორე იყო. მომდევნო დღეს საბჭოთა მსროლელებმა თავიანთ ნადავლს კიდევ ოთხი ოქროს მედალი შემატეს. მცირეკალიბრიანი შაშხანის წოქვლა მდგომარეობიდან სროლაში ჩვენი მსროლელები პირველნი იყვნენ. — 1.544 ქულა. მოსკოვის გარეუბნელმა მსროლელმა თ. ჩერკასოვამ გაიმარჯვა პნევმატური შაშხანის სროლაში —373 ქულა, მინსკელი ვ. პარხიმოვიჩი უძლიერესი იყო მცირეკალიბრიანი შაშხანის სამი მდგომარეობიდან სროლაში 1.160 ქულა. სროლის ამავე სახეობაში საბჭოთა გუნდმა ოქროს მედალი მოიპოვა — 4.563 ქულა. ოქროს მედალი იქნა მოპოვებული აგრეთვე მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში (3 X 20) — 2.270 ქულა.

# „კომუნისტი“ სპორტი

## დღეს შვიდი მატჩია

როგორც წესი, საკავშირო ჩემპიონატის ყოველ ტურს „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ახლა, ფინიშთან, როდესაც ბევრი რამ კვლავ გაურკვეველია, ყოველი ტურის მნიშვნელობა ბევრად უფრო გაიზარდა და შეიძლება ამა თუ იმ გუნდისათვის გადამწყვეტიც აღმოჩნდეს.

ამიტომაც არის, რომ ახლა ფეხბურთის მოყვარულნი ყოველი ტურის შეხვედრებს შეუნელებელი ინტერესით მოელიან. რა თქმა უნდა, გამონაკლისს არც დღევანდელი ტური წარმოადგენს თავისი შვიდი მატჩით. საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლთა რიგებში ისევ დედაქალაქის გუნდებს — მოსკოვის „დინამოს“, ცსკა-სა და „სპარტაკს“ ვხედავთ. უმაღლესი ჯგუფიდან გამოვარდნა კი ემუქრებათ ორჯონიკიძის „სპარტაკს“, ოდესის „ჩერნომორეცს“, ქუთაისის „ტორპედოს“, ტაშკენტის „პახტაკორს“, ლენინგრადის „ზენიტს“.

დღევანდელი მატჩებიდან პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს შეხვედრა ბაქოში, „ნეფტჩისა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის, თამაში ოდესაში „ჩერნომორეცსა“ და ცსკა-ს შორის, მატჩი ტაშკენტში „პახტაკორსა“ და ერევნის „არარატს“ შორის, აგრეთვე ასპარეზობა მოსკოვში დედაქალაქის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“ შორის.

ცხადია, ინტერესით მოელიან აგრეთვე მატჩს თბილისში ადგილობრივ „დინამოსა“ და წლევანდელ სეზონში აღმავლობის გზაზე მდგომ ვოროშილოვგრადის „ზარიას“ შორის. ამავე ტურში კიევის დინამოელები უმასპინძლებენ მინსკელ თანაკლუბელებს, დონის როსტოვის არმიელები — ორჯონიკიძის „სპარტაკს“.

## მედლები განაწილდა

გლაზოვში ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი ფაქტიურად ამოიწურა.

თბილისის „ბურევესტნიკი“, რომელმაც წინა ტურში ცსკა-სთან დამარცხება განიცადა, ამჯერად თამაშობდა ზმეტ-ის წინააღმდეგ და გაიმარჯვა 13:12, ხოლო გუშინ ლიდერთან — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდთან შეხვედრა ფრედ — 27:27 დაამთავრა.

ამრიგად, პირველობის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ჩემპიონი ცნობილია. ეს ტიტული მოიპოვა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა. ვერცხლის პრიზიორები გახდნენ მოსკოვის „კუნცევოს“ ხელბურთელები. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა კრასნოდარის „უნივერსიტეტის“ გუნდმა.

# ჩემპიონი ჩემპიონია

დუშანბე, 22 ოქტომბერი. (საქინფის კორ. ხ. მამედოვი). ფიზიკური კულტურის ტექნიკუმის ახალი სპორტული დარბაზის ხალიჩა იღბლიანი აღმოჩნდა ომსკელი დინამოელის ალექსანდრე ხოშისათვის. აქ მან ზედიზედ მეორედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება სამბოში უმძიმესი წონის ათლეტთა შორის.

მედლებისათვის ბრძოლა მწვავე და დაძაბული იყო. ყველა ფავორიტი როდი ავიდა საპატიო კვარცხლბეკზე. საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონმა ტაშკენტელმა ხუშვაქტ რუზიკულოვმა ქულებით წააგო შეხვედრა თბილისელ გაიოზ კაკიჩაშვილთან და მესამე ადგილზე გამოვიდა.

რაციონალურად და ტექნიკურად წარმართა ყველა ბრძოლა 25 წლის ხოშმა. რვავე შეხვედრაში მან ცხადყო დახვეწილი ტექნიკა და დამაჯერებლად გაიმარჯვა.

ჩემპიონატის აღმოჩენა იყო კაკიჩაშვილი, რომელიც მხოლოდ ფინალში დამარცხდა ქულებით ხოშთან და პირველად მოიპოვა ვერცხლის მედალი.

## „ბ“ კლასის მეორე ზონაში

„ბ“ კლასის მეორე ზონის პირველი ქვეჯგუფის გუნდების საკავშირო შეჯიბრებას ფეხბურთში ფინიში აქვს. მორიგი ტურის მატჩები შედგა 20 ოქტომბერს. აი მათი შედეგები:

„კოლხეთი“ (ფოთი) — „სპარტაკი“ (სარანსკი) 1:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „სპარტაკი“ (ტამბოვი) 5:1, „გურია“ (ლანჩხუთი) — „სპარტაკი“ (რიაზანი) 3:1, „მეშახტე“ (ტყიბული) — „მეტალურგი“ (კრასნი სულინი) 5:4, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ორბიტა“ (ბელაია კალიტვა) 2:1, „სულორი“ (ვანი) — „პროგრესი“ (კამენსკ შახტინსკი) 1:0, „ტორპედო“ (ლისკი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 6:0, „დინამო“ (სოხუმი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:2.

ლიდერია რუსთავის „მეტალურგი“, რომელსაც 30 თამაშიდან 41 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა რიაზანის „სპარტაკი“ — 31 თამაშიდან 40 ქულა.

## რამდენიმე სტრიქონით

● ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ერთ-ერთ აეროდრომზე 16 დღეს გრძელდებოდა პარაშუტისტთა ასპარეზობა ზუსტ დაშვებაზე. მონაწილეობდნენ სამხედრო-საჰაერო ძალების ქალთა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ვაჟთა ნაკრები გუნდები. შეჯიბრებაში დამყარებულ იქნა 15 მსოფლიო რეკორდი. აქედან ქალებს ეკუთვნით 10 რეკორდი.

● ჰავანაში მიმდინარეობს საერთაშორისო შეჯიბრება ჭრივში. პირველ დღის წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები — ე. ზაპოროჟეცი (მინსკი, უმჩატესი წონა), ფ. პეტუხოვი (მოსკოვი, მეორე ქვესაშუალო წონა) და ო. კარატაევი (მოსკოვი, ქვემძიმე წონა), რომლებმაც ნოკაუტით დაამარცხეს მეტოქეები.

● გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მეორე ზონის გუნდების მატჩები ფეხბურთში. გორის „დილა“ და ბათუმის „დინამო“ თანაბარი ანგარიშით 0:3 დამარცხდნენ ბრიანსკის „დინამოსთან“ და ტულის „მეტალურგთან“ შეხვედრებში.

# ყალბისმქმნელები

## დამნაშავეთა კვალდაკვალ

„ტყუილი კაცის შემარცხვენელია“... „ტყუილით ქვეყანას მოივლი, მაგრამ უკან ვეღარ დაბრუნდები“, — ამბობს ქართული ხალხური სიბრძნე. ეს გამოთქმები ხშირად სმენიათ ალექსანდრე მიხეილის-ძე აბაშიძეს და მის თანამზრახველებს. მაგრამ ისინი ალბათ ერთხელაც არ დაფიქრებულან, რა მოსდევს სიყალბეს, ტყუილს, ბოროტ საქმეს.

სოფელ ითხვისში (ჭიათურა) მცხოვრები ალ. აბაშიძე გახდა ყალბი დოკუმენტების შექმნის მოთავე და სულისჩამდგმელი. მას ჰყოფნიდა გამბედაობა ზოგიერთ გაიძვერა თუ გულუბრყვილო ადამიანისათვის გაეკეთებინა დაბადების ყალბი მოწმობები, ოითაც ცვლიდა პასპორტებს, სამხედრო ბილეთებს. ყალბისმქმნელები ამ გზით ახერხებდნენ ხუთი-ათი წლით ადრე გასულიყვნენ მოხუცებულობის პენსიაზე, სახელმწიფოსათვის წაეგლიჯათ დიდი თანხა.

ითხვისელი ლევან გიორგის-ძე იაკობიძე დაბადებულია 1928 წელს. ალ. აბაშიძემ მას დაბადების მოწმობა, პასპორტი და სამხედრო ბილეთი გადაუსწორა 1918 წელს დაბადებულად, რის შემდეგაც ლ. იაკობიძემ „საბუთები“ წარადგინა ჭიათურის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში და 1968 წლის თებერვლიდან (ათი წლით ადრე) დაინიშნა მოხუცებულობის პენსია თვეში 120 მანეთი. ამ ყალბისმქმნელმა უკანონოდ 3.640 მანეთის მიღება მოასწრო.

ყალბი დოკუმენტების მკეთებელმა ალ. აბაშიძემ შვილების მეგისა და ცისანას დაბადების მოწმობები გადაუკეთა ითხვისელ კონსტანტინე ხახიშვილისა და ნიკოლოზ გოგატიშვილს. მათვე შეუცვალა პასპორტები და სამხედრო ბილეთები. კ. კახიშვილმა დაბადების ყალბი მოწმობით უკანონოდ მიიღო პენსია 2.481 მანეთი, ხოლო ნ. გოგატიშვილმა — 5.656 მანეთი.

ზედუბნელი გერვასი არჩილის-ძე ყაველაშვილის დაბადების მოწმობა ჭიათურის მმაჩის ბიუროში არ აღმოჩნდა. მას ალ. აბაშიძემ გაუკეთა ყალბი მოწმობა, რომლის მიხედვით გ. ყაველაშვილი თითქოს დაბადებულია 1914 წელს, და მას 1964 წლის 14 სექტემბრიდან დაენიშნა პენსია თვეში 102 მანეთი. უკვე მიღებული აქვს 7.395 მანეთი.

ყალბი მოწმობებით პენსიები დაინიშნეს აგრეთვე სკინდორელმა ნ. ტყემალაძემ, წირქვალელმა მ. ჭიტაძემ, ნ. ჩუბინიძემ და სხვ. სულ 26 კაცმა. დღემდე მათზე გაცემულია 112 ათასი მანეთი. დოკუმენტების შემოწმება მიმდინარეობს. სამწუხაროდ, მოსალოდნელია რომ სახელმწიფოსათვის წაგლეჯილი თანხის ოდენობა მოიმატებს.

ისიც სამწუხარო და სავალალოა, რომ გაიძვერა ალ. აბაშიძის ანკესზე წამოეგნენ კომუნისტები. გიორგი თეოფილეს-ძე იაკობიძე დაბადებულია 1925 წელს. ა. აბაშიძემ იგი ხელაღლა „მონათლა“ — მოწმობა გადაუსწორა 1920 წელს დაბადებულად, და გ. იაკობიძემ დაინიშნა პენსია თვეში 120 მანეთი. ასევე მოიქცნენ ვაი-კომუნისტები ნ. ვ. მუმლაძე, ნ. გ. ღავთაძე, გ. ვ. ბარჯაძე, პ. ვ. ჩინჩალაძე, ს. ა. იაკობიძე და სხვები. განა ეს შეჰფერის კომუნისტს, საბჭოთა ადამიანს!

ერთობ საეჭვოა საწარმო-დაწესებულებათა კადრების განყოფილებების საქმიანობაც. მათ კადრების აღრიცხვის პირადი ბარათებით კარგად იციან მუშისა და მოსამსახურის დაბადების წელი. საკვირველია, რატომ ვერ ამჩნევდნენ როცა ადამიანს ათი წლით ადრე უშვებდნენ პენსიაზე?

უსათუოდ სიფხიზლე მოადუნეს მმაჩის ბიუროს, საპასპორტო მაგიდისა და სამხედრო კომისარიატის მუშაკებმა, რომლებიც ა. აბაშიძეს აძლევდნენ სხვის დაბადების მოწმობებსა და პასპორტებს ანდა ყალბი საბუთების წარდგენით ცვლილებები შეჰქონდათ სამხედროვალდებულთა პირად საქმეებში.

ყალბისმქმნელებს ფარდა აეხადათ.

**ა. კაპანაძე,**
საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს კონტროლიორ-რევიზორი ჭიათურაში.

**პ. ჭიოკაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## ტელევიზია

### 24 ოქტომბერი

11.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 12.30 — „საბჭოთა საქართველო-50“ — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!“ ოზამჩირის რაიონი (განმეორებით), 12.55 — კინონარკვევი, 13.10 — მხატვრული ფილმი — „გაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე“, 14.40 — „საესტრადო პანორამა“, 15.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ბუნების კარი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.10 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო ჟურნალი, 17.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ — თბილისი „ზარია“ ვოროშილოვგრადი. შესვენების დროს — ახალი ამბები, 18.45 — ბავშვებისათვის — „მუსიკალური საკრავები“, 19.15 — „საბჭოთა საქართველო-50“ — „დიადი წლების ქრონიკა“. 1927 წ., 19.35 — გადაცემა — „ქართული საბჭოთა კინოს ახალგაზრდა გმირი“, 20.15 — „საბჭოთა საქართველო-50“ — „იდიდე მარად ჩემო სამშობლოვ“. სიღნაღის რაიონი, 21.00 — კონცერტი — „მღერის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა კაპელა“, 21.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.50 — მხატვრული ფილმი — „ტბასთან“ (პირველი სერია).

### 25 ოქტომბერი

10.15 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ბავშვებისათვის — „მაღვიძარა“ — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „ფ. ენგელსი და თანამედროვეობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი — „დედა“ 13.00 — ბავშვებისათვის — „გააკეთეთ ჩვენთან ერთად, ჩვენსავით და უკეთესად“ (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 14.00 — ჯადაცემა ციკლიდან „ბეთჰოვენის ყველა სიმფონია“ მე-2 სიმფონია გადაცემა, 14.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.45 — სატელევიზიო ფილმი „ნასაკირალის ჩირაღდნები“, 15.55 — „ორბიტა“ — სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი ახალგაზრდობისათვის, 16.35 — „ადამიანი და კანონი“ — სტუდიაში რსფსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ლ. სმირნოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.50 — „სპარტაკიადის შესახვედრად“, 17.30 — „კონცერტი — „მხიარული მელოდიები“, 18.00 — ფერადი ტელევიზია „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „საბჭოთა საქართველო-50“ — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“. კასპის რაიონი, 20.00 — ფერადი ტელევიზია„ მეფეები უნიღბოდ“, „ტეხასის მილიონები“ საუბარი საერთაშორისო თემაზე (გადმოცემა მოსკოვიდან სტუდიაში საკავშირო ტელევიზიისა და რადიოს პოლიტმიმომხილველი ვ. ზორინი, 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — გადაცემა — „ქართული კინოს ამაგდარი“ — ვასილ ამაშუკელი, 21.10 — „საესტრადო ორბიტაზე“ — გასართობი პროგრამა, 21.55 — მხატვრული ფილმი — „ტბასთან“. (მეორე სერია).

## თეატრები

### 24 ოქტომბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ კიხოტი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბებერი მეზურნეები; რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი —შუშის სამხეცე; გრიბოედოვის სახელობის — მასკარადი. ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სტუმარი და მასპინძელი.

## კინო

### 24 ოქტომბერი

ოქტომბერი — ჩერმენი; ამირანი — წარმატების საწინდარი; 26 კომისრის სახელობის (მწვანე დარბაზი), ვარძია, გორკის სახელობის კულტურის სახლი — უურადღება, ცუნამი!; საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გაზათხული, სპარტაკი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — თავგადასავალი გარეუბნის სახლში; ბათუმი, სიხარული — ყვავილი და ქვა (I, II სერია); ეკრანი — სიყვარულის სეზონი; ნაკადული — მე-17 ცა; ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — პრინცესა; თანამეგზავრი — ანჟელიკა — ანგელოზების მარკიზა; კოლმეურნე — ტარიელ გოლუა; თბილისი — ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები; საქართველო (მწვანე დარბაზი), კოლხიდა, 26 კომისრის სახელობის (წითელი დარბაზი), ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — ანუპამა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტი“
თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-98, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-80-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები